დაწერილობის მიხედვით სპეციფიკურ სურათს ქმნის ისეთი ორწევრა სახელწოდებები, რომელთა პირველი ნაწილი კუთვნილების გამომხატველია: **ლილო მოლი, მაგთი ჯგუფი, სითი მოლი, თბილსერვის ჯგუფი, ერდო ჯგუფი, არქი ჯგუფი, სითი პარკი...** მაშასადამე, დომინირებს **ჯგუფისა** და **მოლის** შემცველი სახელწოდებები, რომელთაც წინ ერთგვარი დასახელება უძღვით ხოლმე. იმთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ დღეს აშკარა ტენდენციაა **სავაჭრო ცენტრის** ნაცვლად მისი ინგლისურენოვანი ვარიანტის გამოყენებისა – Mall/Malls (სავაჭრო ცენტრი, სავაჭრო ცენტრები): **გლდანი მოლი, თბილისი მოლი, სითი მოლი, ლილო მოლი.** ეს გამოწვეულია როგორც ენობრივი ეკონომიით (სამწევრა შესიტყვების ნაცვლად ორი სიტყვის გამოყენება. შდრ.: გლდანის სავაჭრო ცენტრი, თბილისის სავაჭრო ცენტრი, ლილოს სავაჭრო ცენტრი...), ასევე იმითაც, რომ მეტად „მოდური“ გახდა სახელდებათა უცხოენოვანი გაფორმება. ერთი შეხედვითაც კი ნათლად ჩანს, რომ ზემოთ მოხმობილი სახელწოდებები ინგლისური ენის გავლენითაა შექმნილი – პირველი კომპონენტი არაქართული წყობისაა, ფუძის სახით არის წარმოდგენილი, მაშინ როცა ამგვარი კონსტრუქციის გამოყენებისას ქართული გრამატიკული სტრუქტურა ნათესაობით ბრუნვას მოითხოვს. ამ სახის წყობას უპირველესად იმან შეუწყო ხელი, რომ ხშირად ასეთ სახელწოდებათა პირველ კომპონენტებად უცხო სიტყვებია შერჩეული: სითი, ჯორჯია, ჰაუსი, პანორამა, ენერჯი... მაგრამ შესიტყვება-

თა ამგვარი აგებულების გამოყენებას მხოლოდ ამ გარემოებას ვერ დავუკავშირებთ, რადგან იგივე სტრუქტურა ქართული სიტყვით შედგენილ სახელწოდებებშიც გვხვდება: **თბილისი მოლი, გლდანი მოლი, ლილო მოლი, აჭარა ჯგუფი.**

ცხადია, დასახელებული ტიპის სახელწოდებებში მსაზღვრელ-საზღვრულის სინტაქსური წყობა გვაქვს, რომლის პირველი ნაწილი კუთვნილების გამოხატველია. ის სუბსტანტიური სტრუქტურისაა და ქართულში ნათესაობით ბრუნვას მოითხოვს. შინაარსობრივად ესაა **მაგთის ჯგუფი, ლილოს მოლი, თბილსერვისის ჯგუფი, არქის ჯგუფი** და სხვ. უბრუნვისნიშნო ვარიანტებით წარმოდგენილი შესიტყვებები (ლილო მოლი, აჭარა ჯგუფი...) არაქართული გრამატიკული წყობისაა. ცხადია, რომ კომპანიების მიზანია უცხოენოვანი მოდელის გადმოღება. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამავე დროს მათ გვერდით კომპანია-დაწესებულებათა დასახელებებში გვხვდება ქართული ენის სტრუქტურისათვის ბუნებრივი და მართებული სინტაქსური წყობის სახელწოდებებიც: **საქართველოს ავიახაზები, ურალის ავიახაზები, მეფის ქალაქი...** ამიტომ საჭირო იყო ზემოთ დასახელებულ შემთხვევებშიც მათი ბრუნვის ნიშნით გაფორმება (ლილოს მოლი, არქის ჯგუფი...).

შესამდლებელია აგრეთვე ქართული ენის ბუნებისათვის მართებული დაწერილობის სხვა ვარიანტის გამოყენებაც – როცა საკუთარი სახელი მოსდევს საზღვრულს: **ჯგუფი მაგთი, მოლი ლილო, ჯგუფი თბილსერვისი...**

ვფიქრობთ, ზემოთ დასახელებულ შემთხვევებში ყველაზე ბუნებრივი ჩანს მათი შერწყმული დაწერილობით წარმოდგენა – როგორც ერთსიტყვიანი სახელწოდებებისა: **მაგთიჯგუფი, არქიჯგუფი, ლილომოლი, სითიმოლი, ერდოჯგუფი, სითიპარკი...**

ბუნებრივია, რამდენიმეწევრიანი სახელწოდებებიც (ასეთ შემთხვევებში ხშირად პირველი კომპონენტი შემოკლებული სიტყვაა) ამავე პრინციპის მიხედვით ერთად უნდა დაიწეროს: **თბილსერვის-ჯგუფი, ეკოსერვისჯგუფი...** ან, რამდენადაც მისი პირველი კომპონენტი ერთ მთლიან შინაარსს გამოხატავს, ის უნდა გაფორმდეს შესაბამისი ბრუნვის ნიშნით (როგორც ეს ტრადიციული სუბსტანტიური მსაზღვრელ-საზღვრულის შემთხვევაშია): **თბილსერვისის ჯგუფი, ეკოსერვისის ჯგუფი.**

სახელწოდებათა შედგენა-გაფორმებისას არაქართული წყობის მოძალემა სახიფათო ფაქტია, რადგან გარდა უკვე გავრცელებული უცხოური აგებულების შესიტყვებებისა, მან შესაძლოა გზა გაუხსნას ზეპირ და წერით მეტყველებაში მსგავსი სტრუქტურის გადმოტანას.

ლიტერატურა

ტაბიძე 1988 – მ. ტაბიძე, ქტემატონიმებისა და პრაგმატონიმების შესახებ ქართულში, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მერვე, თბილისი.

Tea Burchuladze

On Spelling One Type of Names

Summary

Linguistically, one type of syntagmatic names is noteworthy. This group mainly consists of syntagms containing a modifier and a head word, one part of which is word pairs with a governed modifier.

According to the structure, a specific picture is created by such two-member names, the first part of which expresses belonging: *lilo moli*, *magti žgupi*, *siti moli*, *tbilservis žgupi*, *erdo žgupi*, *arki žgupi*, *siti parki*, etc.

We think that writing their constituent parts together in the above-mentioned names is correct: *magtižgupi*, *arkižgupi*, *lilomoli*, *sitimoli*, *erdožgupi*, *sitiparki*, etc. On the one hand, such spelling follows the grammatical structure of the Georgian language and at the same time expression of belonging will be avoided.

In addition to maintaining the Georgian order in the names composed of foreign words, the issue of the base of the first component should also be taken into account when presenting them in a combined

form. In the words like *siti*, *magti*, *arki*, the letter *i* is a part of the base and not the nominative case marker. Therefore, it will be preserved in a word: *magtižgupi*, *arkižgupi*, etc. But in the words with consonant bases, it is incorrect to keep *i* when writing them together. The first component of such names should be presented as a base: *gldanmoli*, *tbilisenerži*, *tbilishausi*, etc.

Naturally, multi-member names should be written together according to the same principle: *tbilservisžgupi*, *eķoservisžgupi*, etc. or, since their first component expresses one whole meaning, they should be added a corresponding case marker (as in the case of a traditional substantive modifier and a head): *tbilservis žgupi*, *eķoservis žgupi*.

ვაჟა დანელია

ქართული სპორტის ტერმინოლოგიის პირველი ლექსიკონი, ანუ სახელსახეობა 100 წლისაა

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ქართულმა პოპულარულმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა ჟურნალ-გაზეთებმა მიზანმიმართული და სოციალურად მნიშვნელოვანი საქმიანობა – აქტუალური სასპორტო ინფორმაციების შეკრება, დამუშავება და გავრცელება დაიწყეს. სწორედ მაშინ ჩაეყარა საფუძველი ქართული სპორტის ჟურნალისტიკას.

მასობრივი კომუნიკაციის განვითარების ეპოქაში სპორტის ჟურნალისტიკის ევოლუციის ახალი ეტაპი დაიწყო. სპორტის სხვადასხვა სფეროს გაფართოებამ, საზოგადოების ცხოვრებაში მათი როლის გაზრდამ საქართველოში სპეციალური პერიოდული გამოცემის დაარსების საჭიროება გამოიწვია. 1920 წელს სატანვარჯიშო საზოგადოებამ პირველი ქართული სასპორტო ჟურნალ „შევარდენის“ ორი ნომერი გამოსცა ქუთაისში, მომდევნო ორი ნომერი კი 1922 წელს თბილისში გამოვიდა.

ასევე – ზუსტად ასი წლის წინათ დაიბეჭდა ქართული სპორტის ტერმინოლოგიის პირველი ლექსიკონი – ეს იყო 1920 წელს „რუსულ-ქართულ ტექნიკურ ლექსიკონზე“ დართული და შემდეგ ტანვარჯიშის მოყვარულთა საზოგადოება „შევარდენის“ მიერ ხელნაწერის უფლებით ცალკე გამოცემული **საშევარდენო** ტანვარჯიშის 15-გვერდიანი სახელსახეობა (ტერმინოლოგია) – რუსულ-ქართული სიტყვარი [1920: 263-278].

„შევარდენის“ ორგანიზაცია, ჩეხეთის მიზაძვით, ჩვენთან 1918 წლის 25 აგვისტოს ჩამოყალიბდა. „ტანვარჯიშობის ფართო გავრცელებით“ ის დამოუკიდებლობააღდგენილი საქართველოს ფიზიკური და სულიერი სიმტკიცის გაძლიერებას, ჩვენი ქვეყნისთვის ღირსეული შვილების აღზრდას ისახავდა მიზნად. „შევარდენის“ წევრები, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, აქტიურად მუშაობდნენ სპორტის ტერმინოლოგიის შექმნა-დახვეწაზე, რასაც დიდი ადგილი დაეთმო ჟურნალ „შევარდენის“ ფურცლებზე (1920).

ტანვარჯიშს საქართველოში განსაკუთრებული ყურადღება ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან ექცეოდა. 1863 წელს ჟურნალი „ცისკარი“ წერდა: „რომ მოძრაობამ სრულად სარგებლობა გვაჩვენოს, უნდა კაცმა ისეთი რიგიანი და ნამდვილი მოძრაობა მოიმოქმედოს, როგორც კუნთების მდგომარეობას შემევენის სხეულში. იმ ხელოვნებას, რომელიც გვასწავლის ამისთანა კარგსა და სასარგებლო მოძრაობას, ჰქვიან ღიმნასტიკა“ [„ცისკარი“, 1863].

მოგვიანებით ტანვარჯიშს სათანადო ადგილი დაუთმო „დროებამაც“: „დიდად საჭიროა ღიმნასტიკური მოძრაობა იმ ბავშვებისთვის, რომელნიც თითქმის დილიდან საღამომდისინ თოხით მუშაობენ“ [„დროება“, 1872].

XIX საუკუნის მე-2 ნახევრის ქართველი საზოგადო მოღვაწეები არა მარტო ტანვარჯიშის, არამედ ქართულ თამაშობათა ტერმინების შექმნა-დანერგვასაც გადაუდებელ საჭიროებად მიიჩნევდნენ. ქართულ ენაზე ტანვარჯიშის ტერმინოლოგიის შექმნის აუცილებლობა 1883 წელს „დროებამ“ იმით ახსნა, რომ „მასწავლებელს შეეძლოს ეს საგანი ჩვენს ენაზე ასწავლოს ბავშვებს“ [„დროება“, 1883].

შევარდენელებმა წინა თაობის თანამემამულეთა ოცნება რეალობად აქციეს. **საშევარდენო სახელსახება**, როგორც ეს ლექსიკონის წინასიტყვაობითაც დასტურდება, ქართულად 1911-1913 წლებში ითარგმნა, 2018-ში კი თბილისის საზოგადოება „შევარდენის“ მწვრთნელთა ჯგუფმა შეასწორა და შეავსო. ამ საქმეში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის სახელოვან ტანმოვარჯიშესა და სპორტის მოღვაწე გიორგი ნიკოლაძეს. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ დღეს მეტყველებაში გვაქვს არაერთი ტერმინი, რომლებიც ქართულ სასპორტო ლექსიკას დაედო საფუძვლად. მათ შორის ისეთები, როგორებიცაა: **ფეხბურთი, მცველი, კუთხური, გარემარბი, თამაშგარე, ჯარიმა, ქულა, გუნდი, მძლეოსნობა, ძალოსნობა, ძალოსანი, მძლეოსანი, თარჯი, თარჯრბენი, რბენა, მორბენალი, ბადრო, თამასა, ბირთვი, ბირთვის კვრა, გარბენი, გამორბენა, წამზომი, სასტვენი, ჭოკი, სამხტომი, ამანათრბენი, მრავალჭიდი, ურო, ტანვარჯიში, დვირი, ძელი, ღერძი, გურზი, სახტუნელა, არეკნი, ჩოგბურთი, სიმი, ფარვა** და სხვა მრავალი, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს [სახელსახ. 1920: 263-278].

გიორგი ნიკოლაძემ **სისტემის** ნაცვლად შემოიღო ქართული შესატყვისი **თანწყობა** ტერმინისა – **სახელსახი, ტერმინოლოგიისა** –

სახელსახება, კატეგორიისა – თანრიგი, კომბინაციისა – ნაერთი, შტანგისა – ორბირთა; ასევე – ძველი ქართული სიტყვების გამოყენებით ახალი ტერმინები შექმნა. მაგალითად, შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგიდან სიტყვა „**მიჯრის**“ („ბროლ-ბალახ-შისა თლილისა, მის **მიჯრით** მიწყობილისა“) კვალობაზე დაამკვიდრა ახალი სატანვარჯიშო ტერმინები – „**მიიჯერ**“ და „**გაიჯერ**“.

სახელსახებაში ჩეხურის ნაცვლად (ავტორების თქმით, გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად) რუსულიდან თარგმნილი 529 სიტყვაა შესული, რომელთა უმრავლესობა სატანვარჯიშოა, თუმცა მასში სპორტის სხვადასხვა სახეობის ტერმინებიც მრავლად არის წარმოდგენილი.

1920 წელს გამოცემულ „საშევარდენო ტანვარჯიშის სახელსახებაზე (ტერმინოლოგია)“ „შევარდენის“ რედაქტორი, საქართველოს შევარდენტთა კავშირის საბჭოს მდივანი სოსო ასლანიშვილი ჟურნალის 1922 წლის პირველ ნომერში წერს, რომ ის „თვით ჩეხურზე და რუსულზე ბევრად უკეთესია; დამუშავებულია ძმა გიორგი ნიკოლაძის მიერ. ამ ტერმინოლოგიიდან ბევრი სიტყვები მწყობრისთვის შემოიღო ჯარში სამხედრო უწყებამაც კი“ [ასლანიშვილი 1922: 13].

ჟურნალის რედაქოლეგიას მხედველობიდან არც ის გამოჰპარვია, რომ, ასეთი სიტყვარის მიუხედავად, ქართველები მისი გამოყენებით მაინცდამაინც არც მაშინ იწუხებდნენ თავს, ამიტომ „შევარდენელი“ მ. პატარიძე ჟურნალის 1922 წლის პირველ ნომერში გულისტკივილით წერს: „ჩვენი **სახელსახება** სხვისაზე უკეთესი თუ არა, ნაკლები მაინც არ არის. მოსალოდნელი იყო, რომ ის იოლად და მალე უცხო სახელსახებათა გროვას საბოლოოდ განდევნიდა, მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, 100 წლის განმავლობაში ძალდატანებით ჩაგრული ქართული ენა ახლაც ხშირად იჩაგრება... მიუხედავად იმისა, რომ ქართული **სახელსახება** ყველა წევრისათვის ხელმისაწვდომია და რომ მისი საშუალებით ჩვენ შეგვიძლია ყოველგვარი ბრძანება გავცეთ, აღვწუსხოთ ვარჯიშთა ნაირობა ყველა იარაღზე, მაინც ბევრი ძმა უცხო ენას მიმართავს ხოლმე. ამნაირად ქართულ ენას აკლდება ვარჯიში, ხმარება... იჩაგრება ქართული ბუნება, აზრი... მაშ, მომავალ ქართველო ახალგაზრდა შევარდნებო, რომელთა მიზანია პატარა საქართველოს ძლიერება და სიმტკიცე, ისეთ დონემდე ავიყვანოთ ცოდნა ჩვენი, აქამდე დაჩაგრული ენისა, რომ მისი მშვენიერება გვესმოდეს და ეს ენა გახდეს ჩვენი აზრების და

გრძნობების მეტყველი“ [პატარიძე 1922: 18].

საშევარდნო ტანვარჯიშის **სახელსახების** წინასიტყვაობაში ხაზგასმულია ჩეხი სპეციალისტების მოსაზრება, რომ მათი ლექსიკონის სხვა არასლავურ ენაზე გადათარგმნა ძნელი საქმეა – რომ ჩეხები ამყადა ამბობენ: „ჩვენისთანა ტანვარჯიშული სახელსახება არც არავის აქვს და არც ექნება“, მაგრამ აღმოჩნდა, რომ „სლავურ ენების სიტყვათა შესანიშნავი ბმა-დრეკადობის ქართულად გადმოღება სრულიად შესაძლებელი ყოფილა“ [სახელსახ. 1920: 265]. მეტიც, ჩეხური სიტყვების სიმოკლე თარგმანში შენარჩუნებულია და ქართული ენის სიმდიდრემ შესაძლებელი გახადა ჩეხურთან შედარებით ბევრი რამის გაუმჯობესება, რითაც „ქართულ ტან-ვარჯიშულ სახელსახების მეცნიერული ხასიათი თვით ჩეხურზე უკეთ“ აისახა [იქვე: 265].

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ სპორტსაზოგადოება „შევარდენი“, რომელსაც „მხოლოდ ხალხის თავისუფლებისადმი ტრფიალი ახარებდა“, ანტისახელმწიფოებრივ გაერთიანებად მიიჩნიეს (მის წევრებს პატრიოტულ სულისკვეთებასთან ერთად წინამორბედი სასპორტო საზოგადოება „სოკოლისგან“ დევიზად გადმოჰყვათ „ფიქრში სამშობლო, გულში სიმარდე და მკლავში – ძალა“) და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს 1922 წლის 3 ნოემბრის დადგენილებით გააუქმეს. 1923 წლის 19 მარტს ამიერკავკასიის მე-2 ყრილობაზე სერგო ორჯონიკიძემ „შევარდენი“ მენშევიკურ ორგანიზაციად მოიხსენია.

შევარდენული მოძრაობის გაუქმების მიუხედავად, საქართველოში უცხოური სასპორტო ტერმინების შემოტანას, მათ ქართულ ენასთან შესაბამისობაში მოქცევასა და დამკვიდრებას სათანადო ყურადღება ექცეოდა. მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში სპორტის ახალ სახეობებთან ერთად სასპორტო ლექსიკაც მოზღვადა. მაშინ მკვიდრდებოდა განსაკუთრებით ინგლისური ტერმინები, ფრაზეოლოგიზმები თუ ჟარგონები, რომლებსაც, როგორც აღვნიშნეთ, სათანადო ქართული შესატყვისები მოეძებნა. დღეს, სამწუხაროდ, ამ პროცესს ვერ ვხვდებით. სპორტის ჟურნალისტები იოლ გზას ეძებენ – სიტყვათწარმოების ნაცვლად იყენებენ მზამზარეულ ტერმინებსა თუ ჟარგონებს, რითაც ნაგვიანდება ქართული ენა (განსაკუთრებით – ანგლიციზმებით).

რუსულიდან გადმონერგილი „ტრენერი“ და „ტრენიროვკა“ სრულიად სამართლიანად ითარგმნა შესაბამისი ქართული სიტყვა-

ბით – „მწვრთნელი“ და „წვრთნა“, დღეს კი ინგლისურიდან ნასესხები ტერმინები – „ტრენერი“ და „ტრენინგი“ მყარად დამკვიდრდა ქართულში, რაც, ვფიქრობთ, მიუღებელია.

ამჟამინდელი სპორტის ჟურნალისტებისა და კომენტატორების დიდი ნაწილი რატომღაც მოდურად მიიჩნევს ინგლისურიდან შემოსულ ტერმინებსა თუ ჟარგონებს. ზოგისთვის უცხოური ლექსიკა აღიქმება როგორც საუცხოო და უფრო პრესტიჟული (მშობლიურთან შედარებით). თითქოს ეს იყოს დაკამირებული ნაკითხობასა და განსწავლულობასთან. საილუსტრაციოდ რამდენიმე მაგალითს დავასახელებთ: ინგლისური **გოლკიპერი** ან შემოკლებით – **კიპერი** (keeper – დარაჯი, გუშაგი, ყარაული, მცველი, შემნახველი) – სათამაშო სახეობებში (ფეხბურთი, ხელბურთი, წყალბურთი, ჰოკეი) **მეკარეს** აღნიშნავს. **გოლ**-ი ბურთის კარში გატანას გულისხმობს, ხოლო **keeper** ნაწარმოებია სიტყვისაგან – **keep**, რაც დაჭერას, შენახვა-შენარჩუნებას ნიშნავს, ანუ „კიპერი“ არის გუნდის მოთამაშე, რომელიც გოლისაგან იცავს კარს. ამიტომ, ცხადია, მის ნაცვლად უნდა ვთქვათ და ვწეროთ „მეკარე“.

ანალოგიური ვითარება გვაქვს სხვა შემთხვევებშიც: **ფორვარდი** (ინგლისური სიტყვა *Forward* – ნიშნავს წინა; წინ; საერთოგერმანულიდან – *fore* (*fora, fara* წინ, წინას მნიშვნელობით) + *-ward* (*-weard, -verðr* – სუფიქსი მიმართულების მნიშვნელობით) – **თავდამსხმელი; ჰაზბეკი** (*half* – ნახევარი, *back* – უკან) – **ნახევარმცველი, სტოპერი** (*stopper* – საცობი) – **ცენტრალური მცველი, ლაინსმენი** (*line* – ხაზი, *man* – კაცი) – **გვერდითი მსაჯი, სეივი**, რაც **გადარჩენას, შენახვას** ნიშნავს, ეს არის ძნელადმისაღწევ ზონაში მეკარის წარმატებული ნახტომი ან ნებისმიერი ფეხბურთელის მიერ ძნელად ასაღები ბურთის მოგერიება. **სტაფი** – პერსონალი, პირთა ჯგუფი, გუნდი – როგორც თანამშრომლები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან გარკვეული სამუშაოს შესრულებაზე და სხვ.

გლობალიზაციის პირობებში სპორტი სულ უფრო მეტად აახლოებს სხავასხვა ქვეყნის წარმომადგენლებს. ეს ურთიერთობები, ცხადია, ამა თუ იმ ენის ლექსიკაზეც აისახება. სიტყვათა სესხება ენის ლექსიკური ფონდის გამდიდრების ერთ-ერთი ძირითადი წყაროა, თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ სხვა ენებიდან სიტყვების გადაჭარბებული სესხება უარყოფითად მოქმედებს ენაზე. არ არის საჭირო ისეთი უცხოური სიტყვების გადმოტანა, რომელთა

ეკვივალენტი შეიძლება მოიძებნოს სათანადო ენის ლექსიკურ ფონდში, ენის სიწმინდის დასაცავად კი განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებათ ჟურნალისტებს, რადგან მათ მეტყველებას გადამდები ძალა აქვს და უნებლიე მიზამვის საფრთხეს ქმნის.

მართებულად შენიშნავს პროფ. ლია ქაროსანიძე, რომ „მომდევნო თაობებისთვის მრავალი ქართული სიტყვა არქაულ, მოძველებულ ლექსიკად იქცევა“ [ქაროსანიძე 2013: 142]. დღევანდელი ჩვენი უნიათობით თანდათან იკარგება სიტყვები: **შემეცნებითი** (მისი ადგილი **კოგნიტურმა** დაიკავა, რომლის მნიშვნელობაც მოსახლეობის 90-მა პროცენტმა არ იცის), **საზოგადოება** (სოციუმი), **თავისთავადობა** (იდენტობა), **შემოქმედებითი** (კრეატიული), **სიახლე** (ინოვაცია). ამიტომაც ამბობენ ხშირად – ჩვენთან ბევრი **ინოვაციური სიახლე** ინერგებაო.

თითოეულ სიტყვას წონა, ფასი და ღირებულება აქვს, ამიტომ ასე იოლად არ უდა შეველიოთ მას. ქართული ტერმინები უცხოურით არ უნდა ჩანაცვლდეს – ეს ენას აღარიბებს და ის საყრდენგამოცლილ არსებას ემსგავსება. უნდა გვახსოვდეს ილიას შეგონება: „ენა უნდა დავიცვათ შერყვნილობისგან“.

ლიტერატურა

ასლანიშვილი 1922 – ს. ასლანიშვილი, „შევარდენი“, ჟურნალი „შევარდენი“, № 1, 13.

„დროება“ 1872 – გაზეთი „დროება“, № 21.

„დროება“ 1883 – გაზეთი „დროება“, № 228.

პატარიძე 1922 – მ. პატარიძე, „შევარდენი“ და ქართული სახელსახება, „შევარდენი“, № 1, 18.

საშევარდენო ტანვარჯიშის სახელსახება (ტერმინოლოგია) – რუსულ-ქართული სიტყვარი, თბ., 1920.

ქაროსანიძე 2013 – ლ. ქაროსანიძე, ქართული ტერმინოლოგიის საკითხები, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მეცამეტე, თბილისი.

„შევარდენი“ 1920 – ჟურნალი „შევარდენი“, № 1, 13.

„ცისკარი“ 1863 – ჟურნალი „ცისკარი, № 5, 1863.

Vazha Danelia

**The first dictionary of Georgian sports terminology
It is 100 years old**

Summary

From the 2nd half of the 19th century, the expansion of various fields of sports, increasing their role in the life of the society made it an urgent need to create and introduce the terms of gymnastics and Georgian games in Georgia, which Georgian public figures of this period paid great attention to.

The dream of compatriots of the previous generation became a reality at the beginning of the twentieth century – in 1920, the first dictionary of Georgian sports terminology was printed in Georgia – a 15-page Russian-Georgian terminology of gymnastics attached to the "Russian-Georgian Technical Dictionary", which was refined for 9 years before publication. The famous gymnast and sportsman Giorgi Nikoladze made a special contribution to this work. It is thanks to him that today we have a number of terms in our speech, which became the basis of the Georgian sports vocabulary.

The dictionary includes 529 words translated from Russian, the majority of which are gymnastics, although the terms of various types of sports are also printed in it.

თამარ ვაშაკიძე

მსაზღვრელი ზედსართავი სახელის შეთანხმება საზღვრულთან ბრუნვასა და რიცხვში (ნორმის პროექტისათვის)

ატრიბუტული მსაზღვრელი ახლავს არსებითი სახელით ან მასთან გათანაბრებული სიტყვით გადმოცემულ წევრს (საზღვრულს) და განსაზღვრავს (ახასიათებს) მას რაიმე ნიშნის მიხედვით (**წითელი** ვაშლი, **მწვანე** მინდორი, **მაღალი** ხეები, **დიდი** ეზო, **ხუთი** ბავშვი, **რამდენიმე** მეგობარი, **ზღვა** ხალხი...).

თანამედროვე ქართულში ატრიბუტული მსაზღვრელი გადმოიცემა ზედსართავი სახელით ან მიმღეობით (**დიდი** სახლი, **პატარა** გოგო, **დედაშვილური** სიყვარული, **გახარებული** ბავშვი...), რიცხვითი სახელითა (**სამი** მეგობარი, **მეთერთმეტე** კლასი...) და ნაცვალსახელით (**ჩვენი** სკოლა, **ეს** გზა, **ზოგი** საკითხი...). ატრიბუტულ მსაზღვრელად დასტურდება აგრეთვე ზომის, საწყაოს, რაიმე ერთეულისა თუ სიმრავლის აღმნიშვნელი სახელები (**ჭიქა** წყალი, **ურემი** შეშა, **ზღვა** ხალხი...), პროფესია-საქმიანობისა თუ წოდება-თანამდებობის გამომხატველი სიტყვები (**პროფესორი** რაზმამე, **მწერალი** მიხეილ ჯავახიშვილი, **ადვოკატი** გელაშვილი...), გეოგრაფიულ სახელთა თუ სათაურ-სახელწოდებათა დანართები (**აღმოსავლეთი** საქართველო, **დასავლეთი** ევროპა; **ქალაქი** თბილისი, **სოფელი** დიღომი; **რომანი** „დიდოსტატის მარჯვენა“, **კინოფილმი** „დიდი გასეირნება“...), მიმართვისას გამოყენებული ქართული თუ უცხოური სიტყვები (**ბატონი** ზურაბი, **ქალბატონი** რუსუდანო, **მისტერ** ჰიგინსი, **ლედი** ჰამილტონი...), ნათესაური ურთიერთობის აღმნიშვნელი სახელები (**დეიდა** ქეთევანი, **ბიძია** გიორგი...) და სხვ.

სახელს ქართულში ორი გრამატიკული კატეგორია აქვს – ბრუნვისა და რიცხვის, ამიტომ მსაზღვრელის სინტაქსური მიმართება საზღვრულ წევრთან სწორედ ბრუნვასა და რიცხვში ურთიერთობას გულისხმობს, რისთვისაც, თავის მხრივ, გასათვალისწინებელია: ა) ატრიბუტული მსაზღვრელის წყობა პირდაპირია თუ ინვერსიული; ბ) ბოლოთანხმოვნია სახელით არის წარმოდგენილი ატ-

რიბუტული მსაზღვრელი თუ ბოლოხმოვნიათ; გ) პრეპოზიციური ატრიბუტული მსაზღვრელი უშუალოდ საზღვრულთან დასტურდება თუ გათიშულია მისგან წინადადების სხვა წევრით; დ) რომელი მეტყველების ნაწილით არის გადმოცემული ატრიბუტული მსაზღვრელი (ზედსართავით, რიცხვითით, ნაცვალსახელით თუ არსებითით); ე) ებიან მრავლობითშია საზღვრული თუ ნართანიანში.

ახალ ქართულში ატრიბუტული მსაზღვრელი (პრეპოზიციურიც და პოსტპოზიციურიც) ყველაზე ხშირად ზედსართავი სახელით (თუ მიმღობით) გამოიხატება: „**თბილმა სიომ დაუბერა**“ (მ. ჯავახიშვილი); „**გარეულმა ქათამმა შინაური ქათამი გააგდო**“ (ანდაზა); „გასწი, გაკურცხლე და შემიმოკლე მოუთმენელსა **სავალნი დღენი**“ (ნ. ბარათიშვილი); „მისი **ხავსიანი რქები** ტყეს უსწორდებოდა“ (ვაჟა); „**მოზღვაგებულმა ხალხმა** ცეცხლი მალე ჩააქრო“ (ვაჟა); „გვადიმ ნაბდიდან **მოდიდო ხურჯინი** გადმოიღო“ (ლ. ქიაჩელი); „ამას უნდა მიაქციოთ **უდიდესი ყურადღება**“ (ნ. ლორთქიფანიძე); „ჩინებულად შეუნახავს **მოკურდღლავე ყანა** გლედიჩს“ (მუხრანი); „ეს **მმაფრი კვენესა** მიწამლავს დღეებს“ (გალაკტიონი); „მე თოვლი მიყვარს, როგორც შენს ხმაში / ერთ დროს **ფარული დარდი** მიყვარდა“ (გალაკტიონი); „**ველს მშვენიერსა** ჩასძინებოდა“ (ილია); „რომ გათენდება **დილა მზიანი** და ყოველს ბინდას ის განანათლებს“ (ნ. ბართაშვილი); „ხეზე შემოჯდა **ჩიტი პატარა**“ (ვაჟა); „**კლდეო მაღალო**, შეინახე ჩემი ფესვები“ (ვაჟა); „**ფართო მკერდი** ჰქონდა და **მკლავეები ღონიერი**“ (მუხრანი); „**საქართველოო ლამაზო**, / სხვა საქართველო სად არი?“ (ანა); „ასე ფიქრობდა **სულხან-საბა ხელჯობიანი**...“ (მუხრანი)...

ზედსართავი სახელით (თუ მიმღობით) გადმოცემული პრეპოზიციური ბოლოთანხმოვნიათ მსაზღვრელი (თანამედროვე ქართულის მონაცემთა გათვალისწინებით) თავის საზღვრულს სრულად ეთანხმება სამ ბრუნვაში: სახელობითში, მოთხრობითსა და წოდებითში (სახ. **წითელი ვაშლი, გახარებული ბავშვი**; მოთხრ. **წითელმა ვაშლმა, გახარებულმა ბავშვმა**; წოდ. **წითელო ვაშლო, გახარებულო ბავშვო**). მიცემითსა და ვითარებითში ის ფუძის სახით წარმოდგება საზღვრულთან (მიც. **წითელ ვაშლს, გახარებულ ბავშვს**; ვით. **წითელ ვაშლად, გახარებულ ბავშვად**), ხოლო ნათესაობითსა და მოქმედებითში შეინარჩუნებს ბრუნვისნიშნისეულ ხმოვ-

ნით ელემენტს, თანხმობითი ნაწილი ჩამოსცილდება (ნათ. **წითელი ვაშლის, გახარებული ბავშვის**; მოქმ. **წითელი ვაშლით, გახარებული ბავშვით**). ებიან მრავლობითში დასმულ საზღვრულს დასახელებული ტიპის მსაზღვრელი მხოლობითი რიცხვის ფორმით შეეწყობა (სახ. **წითელი ვაშლები**, მოთხრ. **წითელმა ვაშლებმა**, მიც. **წითელ ვაშლებს**, ნათ. **წითელი ვაშლების...**); ნარიან მრავლობითში ის ეთანხმება თავის საზღვრულს ბრუნვაშიც და რიცხვშიც (სახ. **წითელნი ვაშლნი, გახარებულნი ბავშვნი**; წოდ. **წითელნი ვაშლნი, გახარებულნი ბავშვნი**), ხოლო თანიანში ფუძის სახით იქნება წარმოდგენილი (მოთხრ., მიც., ნათ. **წითელ ვაშლთა, გახარებულ ბავშვთა**).

სახ.	წითელ-ი ვაშლ-ი	წითელ-ი ვაშლ-ებ-ი
მოთხრ.	წითელ-მა ვაშლ-მა	წითელ-მა ვაშლ-ებ-მა
მიც.	წითელ ვაშლ-ს	წითელ ვაშლ-ებ-ს
ნათ.	წითელ-ი ვაშლ-ის	წითელ-ი ვაშლ-ებ-ის
მოქმ.	წითელ-ი ვაშლ-ით	წითელ-ი ვაშლ-ებ-ით
ვით.	წითელ ვაშლ-ად	წითელ ვაშლ-ებ-ად
წოდ.	წითელ-ო ვაშლ-ო	წითელ-ო ვაშლ-ებ-ო

სახ.	წითელ-ნ-ი ვაშლ-ნ-ი
მოთხრ.	წითელ ვაშლ-თ-ა
მიც.	წითელ ვაშლ-თ-ა
ნათ.	წითელ ვაშლ-თ-ა
მოქმ.	_____
ვით.	_____
წოდ.	წითელ-ნ-ო ვაშლ-ნ-ო

სახ.	გახარებულ-ი ბავშვ-ი	გახარებულ-ი ბავშვ-ებ-ი
მოთხრ.	გახარებულ-მა ბავშვ-მა	გახარებულ-მა ბავშვ-ებ-მა
მიც.	გახარებულ ბავშვ-ს	გახარებულ ბავშვ-ებ-ს
ნათ.	გახარებულ-ი ბავშვ-ის	გახარებულ-ი ბავშვ-ებ-ის
მოქმ.	გახარებულ-ი ბავშვ-ით	გახარებულ-ი ბავშვ-ებ-ით
ვით.	გახარებულ ბავშვ-ად	გახარებულ ბავშვ-ებ-ად
წოდ.	გახარებულ-ო ბავშვ-ო	გახარებულ-ო ბავშვ-ებ-ო

სახ.	გახარებულ-ნ-ი ბავშვ-ნ-ი
მოთხრ.	გახარებულ ბავშვ-თ-ა
მიც.	გახარებულ ბავშვ-თ-ა
ნათ.	გახარებულ ბავშვ-თ-ა
მოქმ.	_____
ვით.	_____
წოდ.	გახარებულ-ნ-ო ბავშვ-ნ-ო

პრეპოზიციური ატრიბუტული მსაზღვრელი, რომელიც ბოლოხმოვნიათ სახელით (ზედსართავითა თუ მიმდებარით) არის გადმოცემული, მხოლოდითსა და მრავლობითში დასმულ საზღვრულს ფუძის სახით ეწყობა ყველა ბრუნვაში.

სახ.	მწვანე მინდორ-ი	მწვანე მინდვრ-ებ-ი
მოთხრ.	მწვანე მინდორ-მა	მწვანე მინდვრ-ებ-მა
მიც.	მწვანე მინდორ-ს	მწვანე მინდვრ-ებ-ს
ნათ.	მწვანე მინდვრ-ის	მწვანე მინდვრ-ებ-ის
მოქმ.	მწვანე მინდვრ-ით	მწვანე მინდვრ-ებ-ით
ვით.	მწვანე მინდვრ-ად	მწვანე მინდვრ-ებ-ად
წოდ.	მწვანე მინდორ-ო	მწვანე მინდვრ-ებ-ო

სახ.	მწვანე მინდორ-ნ-ი
მოთხრ.	მწვანე მინდორ-თ-ა
მიც.	მწვანე მინდორ-თ-ა
ნათ.	მწვანე მინდორ-თ-ა
მოქმ.	_____
ვით.	_____
წოდ.	მწვანე მინდორ-ნ-ო

სახ.	მოცურავე ბავშვ-ი	მოცურავე ბავშვ-ებ-ი
მოთხრ.	მოცურავე ბავშვ-მა	მოცურავე ბავშვ-ებ-მა
მიც.	მოცურავე ბავშვ-ს	მოცურავე ბავშვ-ებ-ს
ნათ.	მოცურავე ბავშვ-ის	მოცურავე ბავშვ-ებ-ის
მოქმ.	მოცურავე ბავშვ-ით	მოცურავე ბავშვ-ებ-ით
ვით.	მოცურავე ბავშვ-ად	მოცურავე ბავშვ-ებ-ად
წოდ.	მოცურავე ბავშვ-ო	მოცურავე ბავშვ-ებ-ო

სახ.	მოცურავე ბავშვ-ნ-ი
მოთხრ.	მოცურავე ბავშვ-თ-ა
მიც.	მოცურავე ბავშვ-თ-ა
ნათ.	მოცურავე ბავშვ-თ-ა
მოქმ.	_____
ვით.	_____
წოდ.	მოცურავე ბავშვ-ნ-ო

გათიშული პრეპოზიციური მსაზღვრელი (რომელიც ძირითადად მხატვრულ ლიტერატურაში დასტურდება) – ბოლოთანხმოვნანიცა და ბოლოხმოვნანიც – ყველა ბრუნვაში სრულად დაირთავს შესაბამის ნიშნებს: „**შაქრიანს** ეტყვის **სიტყვასა**“ (ვაჟა); „**მწვანეს** ეწვდება **ფოთოლსა** ხარი ირემი რქიანი“ (ვაჟა)...

რაც შეეხება ატრიბუტულ-პოსტპოზიციურ მსაზღვრელს (ზედსართავითა თუ მიმღობით გამოხატულს), ის – ბოლოთანხმოვნანიცა და ბოლოხმოვნანიც – თავის საზღვრულს ეთანხმება ყველა ბრუნვაში. აღნიშნული ტიპის შემთხვევები ძირითადად პოეზიაში (ზოგადად – მხატვრულ ლიტერატურაში) დასტურდება: „გვერდს უზის **ქალი ლამაზი**, სანთელივითა დნებაო“ (ხალხ.); „მისთვის არ ვმღერ, რომ ვიმღერო, ვით **ფრინველმა გარეგანმა**“ (აკაკი); „ველს მშვენიერსა ჩასძინებოდა“ (ილია); „**ბალახს მწვანესა** მიირთმევს“ (ხალხ.); „დიაცს მუდამაც უხდება გლოვა **ვაჟკაცის კარგისა**“ (ვაჟა); „გადის დუმილი ოთახიდან ნაბიჯით **ზანტით**“ (მუხრანი); „იმ ჩვენი ობლის სული კი იქცა **პეპელად ჭრელადა**“ (ვაჟა); „რამ მოაქცია **კაცად ყრუდ**?“ (ხალხ.); „**კლდეო მაღალო**, შეინახე ჩემი ფესვები!“ (ვაჟა) ...

სახ.	ქალ-ი ლამაზ-ი	კაც-ი ყრუ
მოთხრ.	ქალ-მა ლამაზ-მა	კაც-მა ყრუ-მ
მიც.	ქალ-ს ლამაზ-ს	კაც-ს ყრუ-ს
ნათ.	ქალ-ის ლამაზ-ის	კაც-ის ყრუ-ს(ი)
მოქმ.	ქალ-ით ლამაზ-ით	კაც-ით ყრუ-თი
ვით.	ქალ-ად ლამაზ-ად	კაც-ად ყრუ-დ
წოდ.	ქალ-ო ლამაზ-ო	კაც-ო ყრუ-ო

პოსტპოზიციური მსაზღვრელის ფუძე შეიკუმშება ან შეიკვეცება, თუ ის (ფუძე) ზოგადად კუმშვადია ან კვეცადი:

სახ.	ვაშლ-ი წითელ-ი	სახლ-ი პატარა
მოთხრ.	ვაშლ-მა წითელ-მა	სახლ-მა პატარა-მ
მიც.	ვაშლ-ს წითელ-ს	სახლ-ს პატარა-ს
ნათ.	ვაშლ-ის წითლ-ის	სახლ-ის პატარ-ის
მოქმ.	ვაშლ-ით წითლ-ით	სახლ-ით პატარ-ით
ვით.	ვაშლ-ად წითლ-ად	სახლ-ად პატარა-დ
წოდ.	ვაშლ-ო წითელ-ო	სახლ-ო პატარა-ვ

ატრიბუტულ-პოსტპოზიციური მსაზღვრელისა და საზღვრულის მრავლობით რიცხვში შეთანხმებისას გასათვალისწინებელია რამდენიმე შემთხვევა (პოეზიის ენაში):

➤ საზღვრულიცა და პოსტპოზიციური მსაზღვრელიც ებიანი მრავლობითი რიცხვის ფორმით არის წარმოდგენილი: „ნაქერალაში დამდგარან **თუშები თექიანები**“ (ვაჟა); „გარს სანგლად შემოუვლიათ **ხევები ზექიანები**“ (ვაჟა); „მინდვრები, ქართლის მინდვრები, **ქედები მხარგაშლილები...**“ (ანა)...

სახ.	თუშ-ებ-ი თექიან-ებ-ი
მოთხრ.	თუშ-ებ-მა თექიან-ებ-მა
მიც.	თუშ-ებ-ს თექიან-ებ-ს
ნათ.	თუშ-ებ-ის თექიან-ებ-ის
მოქმ.	თუშ-ებ-ით თექიან-ებ-ით
ვით.	თუშ-ებ-ად თექიან-ებ-ად
წოდ.	თუშ-ებ-ო თექიან-ებ-ო

➤ საზღვრულიცა და პოსტპოზიციური მსაზღვრელიც ნართა-ნიანი მრავლობითით დასტურდება: „სად ჰყვავებულან დიდებულად **ქალაქნი ვრცელნი**“ (ალ. ჭავჭავაძე); „ჩემთა ნათესავთ გლოვისა ნაცვლად მივალალეზენ **სვავნი მყივარნი**“ (ნ. ბარათაშვილი); „თვის შორის ხატავს ცისა ლაჟვარდს და **მთათა მწვანეთ**“ (ალ. ჭავჭავაძე)...

სახ.	სვავ-ნ-ი მყივარ-ნ-ი
მოთხრ.	სვავ-თ-ა მყივარ-თ-ა
მიც.	სვავ-თ-ა მყივარ-თ-ა
ნათ.	სვავ-თ-ა მყივარ-თ-ა
მოქმ.	_____
ვით.	_____
წოდ.	სვავ-ნ-ო მყივარ-ნ-ო

➤ საზღვრული ებიანი მრავლობითი რიცხვის ფორმით არის გამოხატული, პოსტპოზიციური მსაზღვრელი – ნარიანით: „მოგროვდენ ყოველის მხრიდამ **ვაყები ლომისფერანი**“ (ვაჟა); „მწყობრად მოდიან **მხედრები სახეგაშლილნი**, მზე ვით“ (ანა)...

➤ საზღვრული წარმოდგენილია ნარიანი მრავლობითით, პოსტპოზიციური მსაზღვრელი – ებიანით. ასეთ შემთხვევებში მსაზღვრელი ხშირად განკერძოებულია: „**მთანნი, თავჩაჩქიანები**, ფიქრს მისცემიან მწარესა“ (ვაჟა) ...

➤ საზღვრული ებიანი მრავლობითი რიცხვის ფორმით დასტურდება, ხოლო პოსტპოზიციური მსაზღვრელი მხოლოდით რიცხვშია: „გულს მიკლავს, გონებას მირევს **ფიქრები გაუგებარი**“ (ვაჟა); „დილაა. სველია ბალახი. სველია **ბელტები ნედლი**“ (მუხრანი). განკერძოებული მსაზღვრელი ამ შემთხვევაშიც დაჩნდება: „ხომ არის ისეთი **დღეები, დარიანი**, ჰაერის სითბო მხრებში რომ აგწევს, აგამჩატებს“ (გ. კვარაცხელია)...

სახ.	ბელტ-ებ-ი ნედლ-ი
მოთხრ.	ბელტ-ებ-მა ნედლ-მა
მიც.	ბელტ-ებ-ს ნედლ-ს
ნათ.	ბელტ-ებ-ის ნედლ-ის
მოქმ.	ბელტ-ებ-ით ნედლ-ით
ვით.	ბელტ-ებ-ად ნედლ-ად
წოდ.	ბელტ-ებ-ო ნედლ-ო

პოსტპოზიციური მსაზღვრელი განკერძოვდება, თუ ის გავრცობილია მასთან სინტაქსურად დაკავშირებული სიტყვებით (განკერძოვდება ამ სიტყვებთან ერთად): „**სიტყვებს**, – წინაპართ მიერ **გახედნილთ**, დიდი რუსთველის უღელში **ნაზამთ**“ (მუხრანი)...

ინვერსიული მსაზღვრელი შეიძლება განკერძოვდეს მაშინაც, როცა ის არ არის გავრცობილი მასთან სინტაქსურად დაკავშირებული სიტყვებით. აღნიშნული ტიპის შემთხვევები მწერლის პოზიციით აიხსნება (როგორ მოიაზრებს ის წინადადებაში მსაზღვრელს – პაუზით თუ უპაუზოდ): „**მთებს**, – **პირდაბანილთ**, – შეუძმრალა ქარმა ხელ-პირი“ (მუხრანი)...

ზოგჯერ პოსტპოზიციური მსაზღვრელი გათიშულია თავისი საზღვრულისაგან წინადადების სხვა წევრით (ყველაზე ხშირად – ზმნა-შემასმენლით). ასეთ შემთხვევებში ის (მსაზღვრელი – ფუძეთანხმოვნიანიცა და ფუძეხმოვნიანიც) ყველა ბრუნვაში სრულად დაირთავს შესაბამის ნიშნებს: „**ხარს ვგავარ ნაიალადარს**“ (ვაჟა); „და როდესაც **მზეს** შევხედე **გვირგვინოსანს**, ჩემო კარგო, ქვეყანაზე გავჩნდი ოდეს“ (ანა); „**წელიწადები** წავლიან **მველნი**, შეიცვლებიან ქარით სიონი“ (გალაკტიონი); „**ველებს** გაჰყურებს **მწვანესა**“ (ხალხ...)...

თუ საზღვრული თანდებულიანი ფორმით არის წარმოდგენილი, პოსტპოზიციური მსაზღვრელიც დაირთავს თანდებულს: „საუბრობდნენ **საკითხებზე ძირითადზე**“; „შევიდნენ **დარბაზში დიდში**“ ...

თანამედროვე ქართულში პოსტპოზიციური ატრიბუტული მსაზღვრელი (ბოლოთანხმოვნიანიცა და ბოლოხმოვნიანიც) მრავლობით რიცხვშიც ეთანხმება თავის საზღვრულს, თუ ეს უკანასკნელი სულიერი სახელით (ვინ თუ რა ჯგუფისა) არის გამოხატული (**ბავშვები ცელქები, ქალნი ლამაზნი, შაშვნი მგალობელნი, დათვები შავები, ლეკვები პატარები...**), ხოლო უსულო სახელით გადმოცემული საზღვრულის შემთხვევაში პოსტპოზიციური მსაზღვრელი შეიძლება იყოს შეთანხმებულიც (**მდინარეები პატარები, ქედები მხარგაშლილები, მთანი მაღალნი...**) და შეუთანხმებელიც (**ბელტები ნედლი, დღეები დარიანი, სახლები დიდი...**).

სახ.	ბავშვ-ებ-ი ცელქ-ებ-ი	ქალ-ნი ლამაზ-ნი
მოთხრ.	ბავშვ-ებ-მა ცელქ-ებ-მა	ქალ-თ-ა ლამაზ-თ-ა
მიც.	ბავშვ-ებ-ს ცელქ-ებ-ს	ქალ-თ-ა ლამაზ-თ-ა

ნათ.	ბავშვ-ებ-ის ცელქ-ებ-ის	ქალ-თ-ა ლამაზ-თ-ა
მოქმ.	ბავშვ-ებ-ით ცელქ-ებ-ით	_____
ვით.	ბავშვ-ებ-ად ცელქ-ებ-ად	_____
წოდ.	ბავშვ-ებ-ო ცელქ-ებ-ო	ქალ-ნ-ო ლამაზ-ნ-ო
სახ.	დათვ-ებ-ი შავ-ებ-ი	შაშვ-ნ-ი მგალობელ-ნ-ი
მოთხრ.	დათვ-ებ-მა შავ-ებ-მა	შაშვ-თ-ა მგალობელ-თ-ა
მიც.	დათვ-ებ-ს შავ-ებ-ს	შაშვ-თ-ა მგალობელ-თ-ა
ანათ.	დათვ-ებ-ის შავ-ებ-ის	შაშვ-თ-ა მგალობელ-თ-ა
მოქმ.	დათვ-ებ-ით შავ-ებ-ით	_____
ვით.	დათვ-ებ-ად შავ-ებ-ად	_____
წოდ.	დათვ-ებ-ო შავ-ებ-ო	შაშვ-ნ-ო მგალობელ-ნ-ო
სახ.	ქედ-ებ-ი მხარგაშლილ-ებ-ი	სახლ-ებ-ი დიდ-ი
მოთხრ.	ქედ-ებ-მა მხარგაშლილ-ებ-მა	სახლ-ებ-მა დიდ-მა
მიც.	ქედ-ებ-ს მხარგაშლილ-ებ-ს	სახლ-ებ-ს დიდ-ს
ნათ.	ქედ-ებ-ის მხარგაშლილ-ებ-ის	სახლ-ებ-ის დიდ-ის
მოქმ.	ქედ-ებ-ით მხარგაშლილ-ებ-ით	სახლ-ებ-ით დიდ-ით
ვით.	ქედ-ებ-ად მხარგაშლილ-ებ-ად	სახლ-ებ-ად დიდ-ად
წოდ.	ქედ-ებ-ო მხარგაშლილ-ებ-ო	სახლ-ებ-ო დიდ-ო

დასაშვებია ისეთი შემთხვევებიც (ძირითადად სახ. და წოდ. ბრუნვებში), როცა საზღვრული ებიანი მრავლობითი რიცხვის ფორმით არის წარმოდგენილი, ხოლო მსაზღვრელი – ნარიანით (**ქალები ლამაზნი, ქალებო ლამაზნო; მხედრები სახეგაშლილნი, მხედრებო სახეგაშლილნო; ჩიტები მოჭიკჭიკენი, ჩიტებო მოჭიკჭიკენო; შაშვები შავნი, შაშვებო შავნო...**), ან კიდევ – პირიქით: საზღვრული ნარიანი მრავლობითით გამოიხატება, მსაზღვრელი – ებიანით (**კადარნი მადლები, კადარნო მადლებო; მთან თავჩაჩიანები, მთანო თავჩაჩიანებო...**).

არცთუ იშვიათად პოსტპოზიციური მსაზღვრელი წარმოდგენილია ისეთი სახელით, რომელსაც ნაკლებად უდასტურდება ებიანი მრავლობითის ფორმები. ასეთ შემთხვევებში ის (მსაზღვრელი) მრავლობითში დასმულ საზღვრულს ან მხოლოდითი რიცხვის ფორმით შეეწყობა, ან – ნართანიანი მრავლობითით; მნიშვნელობა არა

აქვს იმას, სულიერი სახელით (ვინ თუ რა ჯგუფისა) არის გამოხატული საზღვრული თუ უსულოთი, შდრ.: **ადამიანები** (ადამიანნი) **საინტერესო** / **საინტერესონი**, **წიგნები** (წიგნნი) **საინტერესო** / **საინტერესონი**; **ვაჟკაცები** (ვაჟკაცნი) **მათებრი** / **მათებრნი**, **საქმეები** (საქმენი) **მათებრი** / **მათებრნი**... ნაკლებად გვექნება: **ადამიანები** (ადამიანნი) **საინტერესოები** ან **წიგნები** (წიგნნი) **საინტერესოები**; **ვაჟკაცები** (ვაჟკაცნი) **მათებრები** ან **საქმეები** (საქმენი) **მათებრები**... შესაბამისად, მხოლოდითი რიცხვის ფორმით გადმოცემული ინვერსიული მსაზღვრელი დაშვებულ უნდა იქნეს მართებულ ვარიანტად ყველა შემთხვევაში.

ლიტერატურა

არაბული 2004 – ავთ. არაბული, ქართული მეტყველების კულტურა, თბილისი.

აფრიდონიძე 2009 – შ. აფრიდონიძე, ჩვენი ენა ქართული, თბილისი.

დავითიანი 1973 – ა. დავითიანი, ქართული ენის სინტაქსი, თბილისი.

თანამედროვე ქართული ენა, მორფოლოგია, გ. გოგოლაშვილის საერთო რედაქციით, თბილისი, 2011.

კვაჭაძე 2010 – ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი.

კვაჭაძე 2018 – ლ. კვაჭაძე, ქართული ენა, თბილისი.

ლეჟავა 1970 – ლ. ლეჟავა, მსაზღვრელი სახელის შეთანხმება საზღვრულთან მრავლობით რიცხვში, თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, თბილისი.

შანიძე 1976 – ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბილისი.

შანიძე 1973 – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, მორფოლოგია, თბილისი.

ჩიქობავა 1983 – არნ. ჩიქობავა, ზოგადი ენათმეცნიერება, თბილისი.

ჩიქობავა 1998 – არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, თბილისი.

ჯანაშია 1970 – ს. ჯანაშია, მსაზღვრელი სახელის შეთანხმება საზღვრულთან ბრუნვაში (წითელი დროშის თუ წითელ დროშის?), თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, თბილისი.

Tamar Vashakidze

Agreement of an Adjective Modifier with the Head Word in Case and Number

Summary

The paper analyzes all the cases of agreement (in case and number) of an adjective modifier having a vowel base or a consonant base with the head word. The peculiarities of both prepositional and postpositional modifiers are discussed.

მაკა ლაბარტყავა

ხან ფუძის შემცველ კომპოზიტურ ზმნისართთა მართლწერისათვის

როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდან არის ცნობილი, ქართულ ენაში კომპოზიტთა მიღების სამი ძირითადი საშუალება არსებობს: ფუძის გაორკეცვა, ორი ან მეტი სხვადასხვა ფუძის შეერთება და – ორი სიტყვის შეერთება.

საყურადღებო ჩანს ერთი არცთუ ისე მცირე ჯგუფი კომპოზიტებისა, რომლებშიც გამოყენებულია ფუძე **ხან**. ის ერთ შემთხვევაში თავში ერთვის კომპოზიტს, ხოლო სხვა შემთხვევაში – ბოლოში. რა ვითარებაა თანამედროვე ქართულში **ხან** ფუძის შემცველი კომპოზიტების მართლწერის თვალსაზრისით?

„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ მიხედვით, სიტყვა **ხანი** არის: 1. დროის მონაკვეთი; დრო; ჟამი. ხანიც მოვიდა წასვლისა (ვაჟა); რაც ხანი იქ ვიყავით, ამ მონასტერში ვიდექით (ივ. მაჭავარიანის თარგმანი). ♦ **ხნელების ხანზე** იხ. ხნელება ♦ **ბოლო ხანებში** ბოლო დროს, უკანასკნელ ხანებში. **დიდი ხნიდან** დიდი ხანია, რაც... ძველთაგან. ფოთის პორტში დიდი ხნიდან მუშაობდა ერთი რუსი მჭედელი (გ. წერეთელი); ♦ **ერთი ხანია** იხ. ერთი ♦ **ერთ ხანს** იხ. ერთი ♦ **ერთ ხანად** იხ. ერთი ♦ **იმ ხანებში** რაიმე შემთხვევასთან დაკავშირებულ მომენტში, იმ დროის განმავლობაში, იმ დროს. იმ ხანებში ლაცაბიძე ბანაკში არ ყოფილა (მ. ჯავახიშვილი); ♦ **კარგა ხანია** იხ. კარგა ♦ **პირველ ხანებში** დასაწყისში, თავდაპირველად. პირველ ხანებში ნიკო ქიტუასთან დადიოდა (შ. არაგვისპირელი); ♦ **რა ხანია, რამდენი ხანია** კარგა დროა გასული მას შემდეგ, დიდი ხანია, კარგა ხანია... ენძელა და ლუსუმა რა ხანია ამოძვრა დედამიწიდან (თ. რაზიკაშვილი); დედაჩემი რამდენი ხანია ლოგინად არის ჩავარდნილი (ვ. ბარნოვი); ♦ **ხანსა ზმის** იხ. ზმის ♦ **ხანს გამოიყვანს** იხ. გაიყვანს, გამოიყვანს ♦ **ხანის გამოსვლა**, ვადის გასვლა, ხანდაზმულობა; ♦ **(ცოტა...) ხან[ს] ხანში, ხნით** (მცირე) დროის განმავლობაში. რამდენი ცვლილება მოხდა ამ ცოტა ხანში (ი. მაჭავარიანის თარგმანი); ახ, ნეტავ მეც ტოროლად მაქცია ცოტა ხანს

(ი. გოგებაშვილი); ზაფხულში, როცა მზე დიდი ხნით ჩაწვებოდა ხევში...მდინარე იკლებდა (ს. კლდიაშვილი). 2. ადამიანის ასაკი,– ხნოვანება; ჯერ ისევე ჭარმაგია, თუმც არ არის კი მცირე ხნის (აკაკი). [რუსუდანი] ჯერ შუა ხანში ძლივს იქნებოდა (ი. გოგებ.) // სიმწიფე ასაკოვნება. ჭკუა ხანში კი არა, – თავშიაო (ანდაზა); **♦ ადამის ხნისა** იხ. ადამი **♦ დროც ერჩის და ხანიც უწერს** იხ. ერჩის **♦ ხანში შევა** იხ. შევა **♦ ხანში შესული** იხ. შესული. 3. შუალედი იატაკის (ან კედლის) ფიცრებს შუა, ღობეში. მე უფრო კარგი ადგილი ვიცი შესაპარავად: ერთ ადგილას ღობეს ხანი აქვს... (ს. მგალობ.) [სესე] თიკნებისა და ინდაურების საძრომ ხანებს ჯარჯავდა (ბ. ჩხ). 4. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. შუახანი. პირველხანად [ქეგლი 1986: 575].

თუ **ხან** რთული სიტყვის პირველი შემადგენელი ნაწილია, მეორე კომპონენტად დასტურდება: ზედსართავი სახელი, წარმოქმნილი სახელი, მიმღეობა, აგრეთვე – მოქმედებითი ბრუნვის ფორმით წარმოდგენილი საწყისი. ამგვარი ლექსიკური ერთეულები წინა ნაწილთან ერთად (მთლიანობაში) ზედსართავებს, წარმოქმნილ არსებით სახელებს ან ზმნისართებს წარმოადგენს (**ხანმოკლე, ხანმოკლეობა, ხანგრძლივი, ხანშესული, ხანგადასული, ხანდაყოვნებით, ხანგამოშვებით...**).

ასევე გვხვდება **ხან** ფუძის გაორკეცებით მიღებული კომპოზიტი – **ხანდახან**.

მაგალითები:

„**ხანგრძლივი** ძალისხმევის შემდეგ ნიუ-ორკელმა პროკურორებმა მოიპოვეს ტრამპის საგადასახადო მონაცემები“ (www.radiotavisupleba.ge); „ახლა მეორე, უკვე **ხანდაზმული** და დაბრძენებული ტურა წამოდგა“ (ვ. გამსახურდია); „ჯილა ცაცხვები იდგნენ ყორესთან ვით **ხანშესული** ქალდეველები“ (ნ. სამადაშვილი); „მაგიდის ირგვლივ **ხანგადასული** სავარძლებია“ („ლიტ. პალიტრა“: 2008); „ლტოლვილები **ხანგამოშვებით** თვითონვე ჩამოდიოდნენ ბაღში“ (მ. ჯავახიშვილი); „აღესრულა და მოკვდა აბრაამი ტკბილ სიბერეში, მოხუცებული და **ხანსრული**“ ([http. biblia. ge](http://biblia.ge)); „ახლა უკვე **ხანმორეული**, თავის თავზე რატო ორჯერ უფროსი, ოჯახში, თავის ეზო-ყურეში ტრიალებდა“ („საქ. რესპუბლიკა“: 2005); „ეკონომიკური დაცემა ერთ-ერთი ყველაზე **ხანმოკლე** იყო ქვეყნის თანამედროვე ისტორიაში“ (www.tavisufleba.org); „ჰამლეტს სწამდა ბოროტების

ხანმოკლეობა“ („მწერალი“: 2003); „მხოლოდ **ხანდაყოლებით** შეხედა მას მუნჯმა, შეაკვირდა, ქალის ქუთუთოებზე წყენის ცრემლი შენიშნა“ (ლ. გოთუა); „**ხანდახან** ფეხები მიკანკალებს, მაგრამ მათ გვერდით ვრჩები“ (www. radiotavisufleba. ge) და მრავალი სხვა.

ზემოთ წარმოდგენილი კომპოზიციები, რა თქმა უნდა, ერთად იწერება. შესაბამისად, მათთან მიმართებით თანამედროვე ქართულში (დაწერილობის თვალსაზრისით) პრობლემა არ ჩანს. აქვე უნდა აღინიშნოს **ხანშესული** კომპოზიციის შესახებ. იმ შემთხვევაში, როცა **ხან** ფუძეს ერთვის **ში** თანდებული და უსწრებს მიმღეობას, ისინი დაიწერება ცალ-ცალკე – **ხანში შესული** [ქეოლი 1998: 614].

დაწერილობის თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა ისეთი შემთხვევები, როცა **ხან** რთული სიტყვის მეორე კომპონენტია და კომპოზიტი მთლიანობაში ზმნისართის ფუნქციას ასრულებს.

აღსანიშნავია, რომ „ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ **ხან** ფუძის შემცველი კომპოზიტების ერთი ნაწილი გათვალისწინებულია ერთად დაწერილობით. ეს ზმნისართული კომპოზიტებია:

(**ზევრხანს** //) **დიდხანს** [ქეოლი 1998: 90]

ერთხანს [იქვე: 270]

მეტხანს [იქვე: 343]

თანამედროვე ქართულში (მწერლობასა თუ პრესაში) ზემოთ დასახელებული კომპოზიციები გვხვდება როგორც ერთად, ისე ცალ-ცალკე დაწერილობით. მაგალითები:

დიდხანს

„ალტაცებული დადიოდა **დიდხანს**, მაგრამ გზად სხვა ქალი შემოეყარა“ (გ. დოჩანაშვილი); „მაგდანამ **დიდხანს** ამებნინა ქმარი, მაგრამ კვალსაც ვერ მიაგნო“ (ნ. ლომოური); „ასე უცქეროდნენ ერთმანეთს **დიდხანს**“ (ნ. დუმბაძე)...

დიდ ხანს

„**დიდ ხანს** ეგდო ბალახებში გაბრუებული, გონება-გაფრენილი, გარინდული“ (მ. ჯავახიშვილი); „ამის შემდეგ დაჩის **დიდ ხანს** აღარ უცოცხლია“ (ლ. სანიკიძე); „ამიტომ, აქ **დიდ ხანს** დავრჩები – დაახლოებით ერთი საუკუნით“ („24 საათი“, 2005)...

შენიშვნა: „დროის ზმნისართი სახელობითი ბრუნვის ფორმით ძველ ქართულში იშვიათად გვხვდებოდა. ახალ ქართულში არის ტენდენცია, რომ

სახელობითი ბრუნვის მოქმედების არე ამ მრივ გაფართოვდეს, მაგრამ მაინც უმრავლეს შემთხვევაში დროის ზმნისართი მიცემითი ბრუნვის ფორ- მითაა გადმოცემული. ამიტომ უნდა ვწეროთ: „**თვითმფრინავმა დიდხანს იფრინა**“ (და არა: „**თვითმფრინავმა დიდი ხანი იფრინა**“)... [შალამბერიძე 1965: 107].

მეტხანს

„ამის შემდეგ ოპოზიციის ლიდერი თვეზე **მეტხანს** საავად- მყოფოში იმყოფებოდა“ (tavisufleba.org); „მეამბოხეები წელიწადზე **მეტხანს** აკონტროლებდნენ ჰომსის ცენტრს“ (tavisufleba.org); „მეგობ- რებმა საათზე **მეტხანს** ისაუბრეს“ („24 საათი“, 2004)...

მეტ ხანს

„კიდევ ორ წელზე **მეტ ხანს** იცოცხლა შაჰ-თამაზმა“ (ლ. სანი- კიძე); „რბოლის ხანგრძლივობა შვიდ წუთზე **მეტ ხანს** გრძელდებო- და“ („24 საათი“, 2005); „იმ სრულმეტრაჟიანი ფილმის სცენარს კი, რომელიც ერთ საათზე **მეტ ხანს** გრძელდება, ერთ წუთში ადამიანი ვერ მოყვება“ (დ. ტურაშვილი)...

ერთხანს

„**ერთხანს** მიყურა, გაუბრწყინდა სახე და ჯიბისკენ წაიღო ხე- ლი“ (გ. დოჩანაშვილი); „იანგულიმ თავი ჩაღუნა, **ერთხანს** ასე იყო, რაღაცას ფიქრობდა“ (ნ. დუმბაძე); „ბიჭი **ერთხანს** იდგა ქალის წინ უაზროდ და ირხეოდა უღონოდ“ (ვ. ბარნოვი)...

ერთ ხანს

„ყურმა **ერთ ხანს** უნდილად ჰყეფავს ქვეიდან და შემდეგ ლა- მობს ჯავრი ციყვზე იყაროს“ (მ. ჯავახიშვილი); ჯღუნა **ერთ ხანს** გა- ჩუმდა“ (გ. ჩოხელი); „კუზმამ **ერთ ხანს** უცქირა ჰაკის“ (ლ. ქიაჩე- ლი).

როგორც ითქვა, ლექსიკური ერთეულები – **დიდხანს, ერთ- ხანს** და **მეტხანს** ქეოლში გათვალისწინებულია ერთად დაწერილო- ბით. **ხანი** ცალკე სიტყვად დაიწერება იმ შემთხვევაში, როდესაც ის საზღვრულის ფუნქციას ასრულებს, მაგ.: **დიდი ხანი, დიდმა ხანმა, დიდ ხანს... ერთი ხანი, ერთმა ხანმა, ერთ ხანს... მეტი ხანი, მეტმა ხანმა, მეტ ხანს** და ა. შ.

შენიშვნა: მიც. ბრუნვის ფორმით წარმოდგენილი მსაზღვრელ- საზღვრული (**დიდ ხანს, მეტ ხანს...**) ძირითადად ზმნისართის ფუნქციით გამოიყენება. ასეთ შემთხვევებში ის ერთად უნდა დაიწეროს (**დიდხანს** გელოდი...).

„ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ ასევე გათვალისწინებულია **ხანის** შემცველი შემდეგი ლექსიკური ერთეულები: **ცოტა ხანს** [ქეოლი 1998: 583], **სადამო ხანს** [იქვე: 446], **რამდენ ხანს** [იქვე: 425], **იმდენ ხანს** [იქვე: 298], **ამდენ ხანს** [იქვე: 40], **კარგა ხანს** [იქვე: 313]...

ზემოთ ჩამოთვლილთაგან დაწერილობის თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს **ცოტა ხანს**, რომელიც „ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ ცალ-ცალკე დაწერილობითაა წარმოდგენილი: **ცოტა ხანს** [იქვე: 583].

თანამედროვე მწერლობაში (თუ პრესაში) **ცოტა ხანს** დასტურდება ორივე ვარიანტით:

ცოტა ხანს

„ტყის პოეტი **ცოტა ხანს** სდუმდა, შემდეგ სახეზე ცულლუტი ღიმილი აისახა“ (მ. ჯავახიშვილი); „**ცოტა ხანს** ვიჯექი ასე, გული საშინლად მიცემდა“ (ნ. დუმბაძე); „დირექტორი ჯდება, მაგიდას სულს უბერავს, ასუფთავებს, ფიქრობს **ცოტა ხანს**“ (რ. ჭეიშვილი).

ცოტახანს

„დავით მეფემ **ცოტახანს** იყოყმანა, მაგრამ, ბოლოს, მაინც დათანხმდა“ (ლ. სანიკიძე); „**ცოტახანს** მეტად შევიწუხოთ თავი...“ (primetime.ge); „მივდივარ, **ცოტახანს** დაჯდება, მელაქლაქება, დილას მპუაა და მიფრინავს“ („რეზონანსი“, 2007)...

აღსანიშნავია, რომ ქართული მეტყველების კულტურის განყოფილების მიერ 2016 წელს გამოცემულ ნაშრომში – „მართლწერის ლექსიკონი მედიისათვის“ – **ცოტა ხანს** შემდეგნაირადაა წარმოდგენილი: **ცოტა ხანს** (მას შემდეგ ძალიან **ცოტა ხანს** გაევილო), მაგრამ: **ცოტახანს** დამელოდე [მლმ 2016: 482], რაც იმას ნიშნავს, რომ ზმნისართის ფუნქციით **ცოტახანს** ერთად უნდა დაიწეროს.

ლიტერატურა

მლმ 2016 – მართლწერის ლექსიკონი მედიისათვის, თბილისი.

ნორმები 1970 – თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, თბილისი.

ქეგლი – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1986, თბილისი.

ქეეკი – ქართული ენის ეროვნული კორპუსი.

ქეოლი 1998 – ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბილისი.

ქესს 1959 – ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, თბილისი.

შალამბერიძე 1976 – გ. შალამბერიძე, ქართული მართლწერა, თბილისი.

შანიძე 1973 – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი.

Maka Labartkava

On Spelling Compound Adverbs Containing the Base *xan*

Summary

The paper analyzes one group of compounds in which the base *xan* is used. The base is sometimes attached to the beginning of a compound, eg: *ხანგრძლივი xangrḡlivi* "long" – *xangrḡlivi zalisxmevis šemdeg niu-orḡelma proḡurorebma moipoves ḡrampis sagadasaxado monacemebi* "After a lot of efforts, New York prosecutors obtained Trump's tax records"; *xangadasuli* "old" – *magidis irḡvliv xangadasuli savarḡlebia* "There are old chairs around the table"; *xanmoreuli* "old" – *axla uḡve xanmoreuli, tavis tavze raḡo orḡer uprosi, oḡaxšī, tavis ezo-ḡurešī ḡrialebda* "Now as an old man, twice his age, he was roaming in his family, in his yard"; *xandazmuli* "elderly" – *axla meore, uḡve xandazmuli da dabrḡenebuli ḡura ḡamodga* "Now the second, elderly and wiser jackal stood up"; *xangamošvebit* "occasionally" – *ḡtolvilebi xangamošvebit tvitonve ḡamodiodnen bayšī* "The refugees used to come down to the garden by themselves", etc. Regarding the mentioned compounds, there is no problem in terms of spelling.

In Georgian, the spelling of those lexical units the last component of which is *xan* is sometimes disputed: *didxans* “long”, *meṭxans* “longer”, *ertxans* “once”, *coṭa xans* “a little longer”, etc. In the orthographic dictionary of the modern Georgian language: *didxans*, *meṭxans*, *ertxans* are written together as one word, and *coṭa xans* is presented separately. The paper discusses the issue related to the spelling of the above-mentioned forms in the modern Georgian language, press and literature. Attention is also drawn to how to include the lexical unit *coṭa xans* in the new orthographic dictionary – together or separately (while *didxans*, *Ḅmeṭxans*, *ertxans* are presented as a whole word in the Georgian Orthographic Dictionary).

ვახტანგ მალრაძე

ქართულ გეოგრაფიულ სახელთა მართლწერის შესახებ¹

გვინდა კიდევ ერთხელ შევეხოთ ქართულ რთულ ტოპონიმთა მართლწერის საკითხებს.

ამჯერად განვიხილავთ მსაზღვრელ-საზღვრულის სტრუქტურის მქონე ტოპონიმებს. აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა ტოპონიმოკურ ლექსიკონსა თუ ამ საკითხთან დაკავშირებულ გამოკვლევებში გეოგრაფიული სახელები განსხვავებული ორთოგრაფიით არის წარმოდგენილი: ერთი ნაწილი გათვალისწინებულია ცალ-ცალკე დაწერილობით, ხოლო მეორე ნაწილი კომპოზიციური სტრუქტურისაა. სახელმძღვანელო პრინციპები „ქართული ენის ორთოგრაფიულ“ [ქეოლი 1968] და „საქართველოს გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიულ“ [სვსოლი 1987: 2009] ლექსიკონებშია ჩამოყალიბებული. მაგრამ მათში არსებითად მაკროტოპონიმური მასალაა გათვალისწინებული, თუმცა ერთგვარობა სისტემებზე დაცული არც აქაა.

ქართულ რთულ ტოპონიმთა მართლწერისას ერთგვარობის მისაღწევად და წერის გამარტივებისათვის სასურველია, გაირკვეს მათთან დაკავშირებული დაწერილობის საკითხები. საბოლოოდ მოგვარებულად უნდა ჩაითვლოს იმ ტოპონიმთა მართლწერა, რომელთა მსაზღვრელური პრეპოზიციური კომპონენტი მორფოლოგიურად გაცვეთილია, ე. ი. აკლია ბრუნვის ნიშანი ან მისი ნაწილი, ან საერთოდ გაქვავებულია. ეს შეეხება – ატრიბუტული მსაზღვრელის შემთხვევაში – სახელობით ბრუნვას, მართული მსაზღვრელის შემთხვევაში კი – ნათესაობითს [აფრიდონიძე 1983: 48-58]. თანხმობანფუძიანი ატრიბუტული მსაზღვრელი, რომელიც ფუძის სახით არის წარმოდგენილი, საზღვრულთან გაუთიშავად იწერება. მაგ.: **ახალქალაქი, ახალციხე, ახალუბანი, დიდთელა, გრძელველა, რბილმინდორი, შავტყე, წითელტყემლები, ორხევი, სამთელა, ნამწვიანფერდა, დაქცეულსაყდარი...**

¹ ვ. მალრაძე, „ქართულ რთულ ტოპონიმთა მართლწერისათვის“, ჟურნალი „განათლება“, N 3, 2020, გვ. 124-129, სტუ. თბ., 2020.

საინტერესო ჩანს გ. გოგოლაშვილის თვალსაზრისი **სამხრეთ საქართველო/სამხრეთი საქართველო** ტიპის მსაზღვრელ-საზღვრულთა დაწერილობასთან დაკავშირებით. მკვლევარს მიაჩნია, რომ მსაზღვრელი ფუძის სახით უნდა იყოს წარმოდგენილი, ოღონდ ყურადღებას არ ამახვილებს იმაზე, ერთად უნდა დაიწეროს ეს ორი კომპონენტი თუ ცალ-ცალკე [გოგოლაშვილი 2008: 3-11].

მ. ჩუხუას თვალსაზრისით, დასახელებული ტიპის შესიტყვებებში მსაზღვრელი წარმოდგენილი უნდა იყოს გაცვეთილი სახით, ე. ი. ბრუნვის ნიშნის გარეშე. ავტორს მიაჩნია, რომ **დასავლეთსაქართველოს** ტიპის ფორმები ერთად უნდა დაიწეროს [ჩუხუა 2007: 92-94], რის მიზანშეწონილობასაც ჩვენ მიერ გაანალიზებული მასალაც ადასტურებს.

საზღვრულთან შერწყმულად დაიწერება აგრეთვე შემდეგი ტიპის პოსტპოზიციური ატრიბუტული მსაზღვრელის შემცველი რთული გეოგრაფიული სახელები (რომელთა პირველი კომპონენტი ფუძის სახითაა წარმოდგენილი): **მიწაწითელი, ქვათეთრი, ჯვარდაბალი, ხეხმელა, ველგრძელა...**

რაც შეეხება ხმოვანფუძიან მართულ მსაზღვრელს, რომელსაც მოკვეცილი აქვს ბრუნვის ნიშანი, ისიც თავის საზღვრულთან შერწყმულად დაიწერება, მაგ.: **აბრეულახევი** (შდრ.: „აბრეულას ხევი“); **ახოციხე** (შდრ.: „ახოს ციხე“); **ბაჩახევი** (შდრ.: „ბაჩას ხევი“)... მსგავსი სახის სახელწოდებები არცთუ იშვიათად დასტურდება.

თანხმოვანფუძიანი მართული მსაზღვრელის შემთხვევაშიც ხშირია ბრუნვის ნიშნის ნაწილობრივი, თანხმოვნითი ელემენტის (**ს**) მოკვეცის მაგალითები: **ხებრიწყაროები, ზვრიბოლოები, ზოსლესიტყე, ვაშლიმიწები, ფიჭვებიხევი...**

ორივე შემთხვევაში (სრული თუ ნაწილობრივი მოკვეცისას) მსაზღვრელ-საზღვრული შერწყმული დაწერილობით წარმოდგება.

ერთად იწერება აგრეთვე **თოიძიანთუბანი** ტიპის გეოგრაფიული სახელები. მაგ.: **ფშატაიანთბოგირი, კეკოაანთქედი, თუთუაანთმიწები, მღებრიაანთწყარო, პაიჭაანთწყალი, ჩიტაანთწყალი...**

როცა ამა თუ იმ დასახლებული პუნქტის სახელწოდების პირველი ნაწილი ნათესაობითი ბრუნვის ფორმით წარმოდგენილი არსებითი სახელია (უპირატესად მხოლოობითი რიცხვისა), ხოლო მეორე კომპონენტად დასტურდება თავი, ძირი, ციხე, წყარო, უბანი, კარი, ხევი, პირი, ღელე, ყანა, წყალი, ჯვარი და სხვ., გეოგრაფიული

სახელი ერთად იწერება, მაგ., **ხიდისთავი, ციხისპირი, გამდლისწყარო, უფლისციხე, ტაშისკარი, კავთისხვეი, რუისპირი, ციხისჯვარი, ლამისყანა, ციხისფერდი, მთისკალთა, ლალისყური, აჭარისაღმართი, ტინისხიდი** (ყველა ოიკონიმი) [ადმ.-ტერ. დაყ. 1977].

ასევე იწერება მდინარეების, ქედების, მთების, მწვერვალებისა და სხვათა სახელები: **ცხენისწყალი** (მდ.), **უბისთავი** (ქედი, მთა), **მეფისწყარო, ხერხემლისმაღალი** (მთები), **საქორისწვერი, არდოტისწვერი, მამლისთავი, მამლისმთა, ფასისმთა, დიკლოსმთა** (მწვერვალები), **საჯიხვისღელე, სახრისღელე** (უღელტეხილები).

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია: „მედგენილ ტოპონიმთა ფორმას შეაპირობებს მსაზღვრელ-საზღვრულის რაგვარობა. კერძოდ, მორფოლოგიურად გაუცვთელი თანხმომავანფუძიანი, ასევე ხმომავანფუძიანი, ატრიბუტული მსაზღვრელი და მისი საზღვრული ცალ-ცალკე იწერება“ [აფრიდონიძე 1983: 85-88]. დაისმის კითხვა: თუ ერთ შემთხვევაში დასაშვებია შერწყმული დაწერილობა, მეორე შემთხვევაში რატომ უნდა იყოს აუცილებელი მისი ცალ-ცალკე გაფორმება. ვფიქრობთ, ყველა მსაგვსი კონსტრუქციის მქონე გეოგრაფიული სახელი ერთგვარი წესით უნდა გაფორმდეს და დაიწეროს შერწყმულად. „ტოპონიმი, როგორც ერთი გარკვეული ობიექტის საკუთარი სახელი, ერთგნებიანია“ [ნიკონოვი 1965: 66], ერთი კონკრეტული ობიექტის აღმნიშვნელია. მაგალითად, ოიკონიმები – სოფლის სახელწოდებები: **აჭარისაღმართი** (ს. ხელვაჩაურის მუნიციპ-ში)¹, **დედოფლისწყარო** (ქალაქი), **თხინაშკარი** (ს. გალის მუნიციპ-ში), **ქვაბისხვეი** (ს. ბორჯომის მუნიციპ-ში), **აბაშისპირი** (ს. აბაშის მუნიციპ-ში), **წყაროსთავი** (ს. საგარეჯოს მუნიციპ-ში) **ჯიხასკარი** (ს. ზუგდიდის მუნიციპ-ში), **მთისკალთა** (ს. გულრიფშის მუნიციპ-ში), **ვარდისუბანი** (სს. დმანისის, თელავის, ლაგოდეხის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპ-ში), **ქედისუბანი** (ს. ამბროლაურის მუნიციპ-ში), **მთისკალთა** (ს. სოხუმის მუნიციპ-ში), **ამამლოსწყალი** (მდ. დუშეთის მუნიციპ-ში), **წყაროსთავი** (მდ. დუშეთის მუნიციპ-ში), **ყორნისკლდე** (მთა დუშეთის მუნიციპ-ში), **დიკლოსმთა** (მწ. ახმეტის მუნიციპ-ში), **მთისკალთა** (მღვიმე სოხუმის მუნიციპ-ში)...

¹ აქაც და შემდგომაც, სადაც მითითებულია ტოპონიმი და მუნიციპალიტეტი, ყველა ობიექტი დამოწმებულია საქართველოს გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონიდან.

დამკვიდრებული ტრადიციით ერთად იწერება. ეს კი იწვევს გაურკვევლობასა და აღრევას მართლწერის თვალსაზრისით.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ ქედებისა და მთების სახელწოდებანი, რომელთა პირველი ნაწილი საკუთარი სახელებია, მეორე კი – საზოგადო (ქედი, მთა, გორა), იწერება ორ სიტყვად: **თრიალეთის ქედი, ლიხის ქედი, ლომისის მთა, საგურამოს მთა, ამირანის გორა, სათიხის გორა**. მაგრამ თუ „ქედი“, „გორა“ სოფლის სახელის შემადგენელი ნაწილია, ასეთი სახელწოდებები კომპოზიტებს წარმოადგენს: **ბროლისქედი, ვანისქედი, იფნისგორა**.

სპეციალურ ლიტერატურაში ასევე მიიჩნევენ, რომ თუ გაუცვთელი მართული მსაზღვრელი საკუთარი სახელითაა გამოხატული (ტოპონიმით, ანთროპონიმით, ეთნონიმით), მსაზღვრელ-საზღვრული ყოველთვის ცალ-ცალკე დაიწერება. კვლავ დაისმის კითხვა: თუკი ოიკონიმები **კიმოთესუბანი, ალექსანდრესწყარო, სავანისუბანი, ყვიბისწყალი...** [სგსოლ 1986] ერთად იწერება, **ლავერენტის წყარო, ლომისის ნიში, მეტეხის რუ, აბრეულას ხევი, აზურიანის მთა, არსენას გამოქვაბული, გურამიშვილის წყარო, აბაზას ხევი...** ცალ-ცალკე რატომ უნდა იწერებოდეს? არის აშკარა ტენდენცია იმისა, რომ ტოპონიმი, როგორც ერთიანი, ერთგნებიანი ერთეული, მიისწრაფვის ერთად დაწერილობისაკენ.

ამდენად, საკუთარი სახელი არ უნდა იყოს გადამწყვეტი მსაზღვრელ-საზღვრულით წარმოდგენილი გეოგრაფიული სახელის ერთად თუ ცალ-ცალკე დაწერილობის განსაზღვრისას. აუცილებელია, მართლწერის გამარტივებისათვის ერთგვარობა იყოს დაცული, რაც დიდად შეუწყობს ხელს დასახელებული ტიპის გეოგრაფიულ სახელთა უნიფიკაციას.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საგულისხმოა ფ. მაკალათიას მოსაზრება: „ცალკე იწერება სახელობითი ბრუნვისნიშნისანი ატრიბუტული მსაზღვრელი, რადგან ასეთი მსაზღვრელი ბრუნებისას იცვლება – მაღალი მთა, მაღალმა მთამ...“ [მაკალათია 1974: 3]. სხვა ამ ტიპის სახელწოდებებია: **შავი** კლდე (მთა ახმეტის, ბორჯომის მუნიციპ-ში), **შავი** ტყე (ონისა და ხულოს მუნიციპ-ში), **თეთრი** წყარო (ქალაქი), **მშრალი** ხევი, (მდ. გორის მუნიციპ-ში), **მყრალი** ოლე (მდ. გურჯანის მუნიციპ-ში), **მყრალი** წყალი, **თეთრი** კლდეები, **დამბალი** წყალი, **ძველი** ვენახები... თუმცა ერთგვარობა აქაც დარღვეულია, შდრ.: **ცივიწყარო** (მთა ხულოს მუნიციპ-ში)...

სხვადასხვაგვარი ვითარება გვაქვს დაწერილობის თვალსაზრისით შემდეგ სახელწოდებებშიც: **მლაშე ტბა** (ტბა ნინოწმინდის მუნიციპ-ში) და **მლაშეწყალი** (მდ. დედოფლისწყაროს მუნიციპ-ში); **მწვანე კონცხი** (კონცხი და ს. ხელვაჩაურის მუნიციპ-ში), **მწვანე მთა** (მთა ნინოწმინდის მუნიციპ-ში) და **მწვანემშენი** (ს. მცხეთის მუნიციპ-ში)...

ერთად უნდა დაიწეროს იმ სახის გეოგრაფიული სახელები, რომელთა მსაზღვრელო კომპონენტი ფუძემდებია, მაგ.: **შუახევი** (მუნიციპ-ის ცენტრი), **ცხრამუხა** (ს. ხაშურის მუნიციპ-ში), **ცხრაწყარო** (ს. ზესტაფონის მუნიციპ-ში), **ცხრაწყარო** (უღელტეხილი ბორჯომის მუნიციპ-ში), **ჩხოროწყუ** [მეგრ. ცხრა წყარო] (ქალაქი), **ჭითაწყარო** [მეგრ. წითელი წყალი] (მდ. და ს. ზუგდიდის მუნიციპ-ში), **ჭითაუშქური** [წითელი ვაშლი] (ს. ხობის მუნიციპ-ში), **მლაშეწყალი** (მდ. დედოფლისწყაროს მუნიციპ-ში), **შუაგორა** (მთა ახმეტისა და ს. ვანის მუნიციპ-ში), **კოკოლაქედი**, **ქვემოჭალა**, **შუაუბანი**...

ამგვარი გეოგრაფიული სახელების დაწერილობის თვალსაზრისით გამიჯვნა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მიუღებლად მიგვაჩნია.

როგორც ითქვა, ქართულ ტოპონიმიაში ხშირია შემდეგი ატრიბუტული მსაზღვრელებით წარმოდგენილი გეოგრაფიული სახელები: **დიდი**, **პატარა**, **ქვემო**, **ქვედა**, **ზემო**, **ზედა**, **შუა**, **გაღმა**, **გამოდმა**... დასტურდება მათი ანტონიმური ვარიანტებიც. ასეთი წყვილები მრავლად გვხვდება კასპის რეგიონში: **ზემორენე – ქვემორენე**; **ახალი ხალები – ძველი ხალები**; **დიდი მთა – პატარა მთა**...

ანალოგიურად ცალ-ცალკე დაიწერება: **რგვალი ჭალა**, **ახალი უბანი**... მაგრამ ხმოვანფუძიანი მსაზღვრელების შემცველი ტოპონიმები შერწყმული დაწერილობით გაფორმდება: **კოკოლაქედი**, **ქვემოჭალა**, **შუაუბანი**...

არსებობს თვალსაზრისი, რომ სამსიტყვიან ტოპონიმებში მეორეული წარმოებისას პირველადი სიტყვა (ტოპონიმი) მართულ მსაზღვრელად იქცევა და, სტრუქტურის სირთულის მიუხედავად, გაუთიშავად წარმოდგება, ხოლო ახალი საზღვრული კომპონენტი დაიწერება ცალკე, მაგ., ასე: **წითელისაყდრის ხევი** (შდრ.: წითელი საყდარი), **წითელიჭალების მინდორი** (შდრ.: წითელი ჭალები), **კოკოლაქედის წყალი**, **კოკოლაქედის წყარო** (შდრ.: კოკოლა ქედი)...

შემადგენელი კომპონენტების ფორმათა თვალსაზრისით განსხვავებულ ვითარებას წარმოგვიდგენს შემდეგი ტოპონიმები: **ლას-ტისციხისხევი** (ს. მცხეთის მუნიციპ-ში), **ჩელეთისთავისწყერი** (მთა ყვარლის მუნ-იციპ-ში), **შირიმისწყაროსქედი** (მდ. ახმეტის მუნიციპ-ში)... ეს ტოპონიმებიც ხომ სამი კომპონენტისაგან შედგება.

როგორც ზემოთ ითქვა, ერთცნებიანი ტოპონიმების ერთად წერის ტენდენცია აშკარად იგრძნობა. ამდენად, მართებულად მიგვაჩნია, დასახელებული ტიპის გეოგრაფიული სახელებიც ერთად დაიწეროს.

დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ ქართულ რთულ ტოპონიმთა მართლწერისას ერთგვარობის დასამყარებლად და წერის გამართვებისათვის გასათვალისწინებელია შემდეგი წესები:

1. ერთად უნდა დაიწეროს რთული ტოპონიმები, რომელთა მსაზღვრელური პრეპოზიციური კომპონენტი მორფოლოგიურად გაცვეთილია, ე. ი. აკლია ბრუნვის ნიშანი ან მისი ნაწილი, ან საერთოდ გაქვევებულია. ატრიბუტული მსაზღვრელის შემთხვევაში: **ახალქალაქი, დიდთელა, გრძელველა, რბილმინდორი, შავტყე...**; მართული მსაზღვრელის შემთხვევაში: **ხეზრი[ს]წყაროები, ზვრი[ს]ბოლოები, ბოსლები[ს]ტყე, ვაშლი[ს]მიწები...**

2. ერთად დაიწერება აგრეთვე ჯვარდაბალი, ხევხმელა, ველგრძელა... ტიპის რთული გეოგრაფიული სახელები, რომელთა საზღვრული წევრი ფუძის სახით, ბრუნვის ნიშნის გარეშეა წარმოდგენილი (მსაზღვრელი კი პოსტპოზიციურია).

3. შერწყმულად დაიწერება მსაზღვრელ-საზღვრულით წარმოდგენილი გეოგრაფიული სახელები, რომელთა საზღვრული კომპონენტი ერთმარცვლიანი საზოგადო სახელებია (მაგ., ტყე, მთა, გზა): **წვერიგზა, ვაკეგზა... შუაქედი, შვამინდორი...**

4. ასევე ერთად დაიწერება:

ა) თოიძიანთ[ა]უბანი ტიპის გეოგრაფიული სახელები: ფშატიანთ[ა]ბოგორი, კიკოანთ[ა]ქედი, თუთუაან-თ[ა]მიწები, მღებრიანთ[ა]წყარო...

ბ) მსაზღვრელ-საზღვრულით წარმოდგენილი გეოგრაფიული სახელები, რომელთა მსაზღვრელი კომპონენტი გაუცვეთელი ნათესაობითი ბრუნვის ფორმითაა გამოხატული: ცხენისწყალი, დედოფლისწყარო, აბაშისპირი, ქედისუბანი, მთისკალთა, ქვაბისხევი, თხინაშკარი...

გ) სამსიტყვიანი ტოპონიმები: **წითელისაყდრისხევი** (შდრ.: წითელი საყდარი), **წითელიჭალებსმინდორი** (შდრ.: წითელი ჭალები), **იდლეთისქედისსასაფლაო** (შდრ.: იდლეთის ქედი), **კოკოლაქედისწყალი**, **კოკოლაქედისწყარო** (შდრ.: კოკოლაქედი)...

5. ცალ-ცალკე დაიწერება გეოგრაფიული სახელები, რომელთა ატრიბუტული მსაზღვრელი სახელობითი ბრუნვის ფორმით არის წარმოდგენილი. ამ სახის მსაზღვრელი საზღვრულთან ბრუნებისას იცვლება. მაგ., **შავი** ტყე (შავმა ტყემ), **თეთრი** კლდეები (თეთრმა კლდეებმა), **დამპალი** წყალი (დამპალმა წყალმა), **ცივი** წყარო (ცივმა წყარომ), **ძველი** ვენახები (ძველმა ვენახებმა), **მშრალი** ხევი (მშრალმა ხევმა)...

ზემოაღნიშნული წესების გათვალისწინება ხელს შეუწყობს გეოგრაფიულ სახელთა მართლწერის გამარტივებას, და – რაც მთავარია, ერთგვარობის დამკვიდრებას ერთი და იმავე შედგენილობის სახელთა გამოყენებისას.

ლიტერატურა

ადმ.-ტერ. დაყ. 1977 – საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, თბილისი.

აფრიდონიძე 1983 – შ. აფრიდონიძე, რთული შედგენილობის მიკროტოპონიმთა მართლწერისათვის, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წ. მე-5, თბილისი.

გოგოლაშვილი 2008 – გ. გოგოლაშვილი, სამხრეთ საქართველო თუ სამხრეთი საქართველო?, გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, N 8-12, ქუთაისი.

მაკალათია 1974 – ფ. მაკალათია, ტოპონიმთა აგებულებისა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი, ჟურნალი „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, N 3.

მალრაძე 2020 – ვ. მალრაძე, ქართულ რთულ ტოპონიმთა მართლწერისათვის, ჟურნალი „განათლება“, N 3, სტუ, თბილისი.

ნიკონოვი 1965 – В. А. Никонов, Введение в топонимику, Москва.

სგსოლ 1986, 2009 – საქართველოს გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბილისი.

ქეოლ 1968 – ვ. თოფურია, ი. გიგინეიშვილი, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბილისი.

ჩუხუა 2007 – მ. ჩუხუა, კვლავ დასავლეთ ევროპა თუ დასავლეთი ევროპა?, ქართული სალიტერატურო ენის საკითხები: ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა, თბილისი.

Vakhtang Maghradze

On Spelling Georgian Geographical Names

Summary

The paper analyzes the spelling issues of compound toponyms based on extensive illustrative material.

The paper presents the spelling rules regarding the following types of geographical names:

a) Toponyms that are written together as one word (axalkalaki, šuakedi, cxenisçqali, etc.).

b) Toponyms that are written separately as two words (mšrali xevi, zveli venaxebi, tetri ḳldeebi, etc.).

თამარ სუხიშვილი

ინგლისური ფრაზის (at least) გადმოტანისათვის ქართულში

ბოლო ხანებში ყურადღებას იქცევს შესიტყვებების – **სულ მცირე** || **სულ ცოტა** – უმართებულო გამოყენების შემთხვევები ქართულ მედიაში. წინამდებარე სტატიაში სწორედ ამ შემთხვევებს განვიხილავთ.

„ჟურნალისტიკის სტილისტიკურ ცნობარში“ აღნიშნული შესიტყვებები მინიმუმის სინონიმებადაა მიჩნეული: **მინიმუმი**; **მინიმუმ** (= სულ ცოტა, სულ მცირე. მაგ., მინიმუმ ოცდაათი.). შდრ. მაქსიმუმი [ჟურნ. ცნობ. 2002]. ლათინური წარმოშობის მინიმუმი (ლათ. *minimum, i n.* – *უმცირესი რაოდენობა, minimum adv.* – *ძალიან მცირედ, თითქმის არ*) ქართულში რუსულის გზით ჩანს შემოსული. ეს სიტყვა გვხვდება როგორც არსებითი სახელის ფორმით (მაგ., საარსებო მინიმუმი), ასევე ზმნისართის ფორმითაც – მინიმუმ: „*ჟუჟუნა სთავაზობდა ოც ლარს, ალბერტი კი ითხოვდა მინიმუმ, ორმოცდაათს*“ (ზ. ლეჟავა) [კორპ]. ზოგჯერ ქართულში გვხვდება რუსული გამოთქმის (*как минимум*) კალკიც – „როგორც მინიმუმ“: „*შესაბამისად, COVID-19-ის გარეშეც როგორც მინიმუმ პირისპირ სწავლება მომწიფებული იყო რადიკალური ტრანსფორმაციისთვის*“ (თსუ 2020). რუსული გამოთქმა უცვლელადაა გადმოტანილი ქართულ ჟარგონში: „*მოტყუების მაგივრად პატიოსნად და შრომით რომ იშოვო ადამიანმა ფული კაკ მინიმუმ არ მოსულა?*“ (მაგალითი მოყვანილია „თბილისის ფორუმიდან“).

ენობრივ მასალაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ნასესხებ მინიმუმს თანდათანობით ენაცვლება მისი ქართული ფარდი **სულ მცირე** (|| **სულ ცოტა**). ჩანაცვლების ეს ტენდენცია შეინიშნება ლიტერატურაშიც და ოფიციალურ დოკუმენტებშიც.

განსვენებული, სულ მცირე, სამასი წლის მკვდარი მაინც არის (რ. მიშველაძე);

სულ მცირე, 18 მაინც იქნება (ლ. პირანდელო, ბ. ბრეგვადის თარგმანი);

მის მერ მოწონებულ მამაკაცს **სულ ცოტა იმდენი დონე** მაინც უნდა ჰქონოდა, რომ ერთი დარტყმით გადარეული ჯიშოანი ბულა წაეყცია (ლ. კაკულია);

მოქალაქე ვალდებულია შეასრულოს, **სულ ცოტა, საშუალო ხარისხის** სამუშაო (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი);

კრედიტის ამღებმა გადააცილა, **სულ ცოტა, ორ ვადას** (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი) [კორპ].

მომიებული მასალის ქრონოლოგიის საფუძველზე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ჩანაცვლების ფაქტები 1980-იანი წლებიდან შეინიშნება და ეროვნული მოძრაობის თანმდევი ენობრივი ტენდენციის ნაწილია, რაც არა მხოლოდ რუსულიდან შემოსულ ბარბარიზმებთან ბრძოლაში, არამედ რუსულიდან ნასესხები სიტყვებისთვის თავის არიდებისა და ქართული ანალოგების ძიებაშიც გამოიხატება: **სულ მცირე** // **სულ ცოტა** ენაცვლება რუსულ **минимум, как минимум** ფორმებს.

საინტერესოა, რომ ერთ-ერთ ვებგვერდზე (mediapedia.ge) რუბრიკაში – „სწორად წერე“ *მინიმუმ* არასწორ ფორმადაც კია მიჩნეული: „*მინიმუმ* თუ *სულ ცოტა*: *ტოჩინოშინმა 15 ბრძოლიდან მინიმუმ 8 უნდა მოიგოს – ტოჩინოშინმა 15 ბრძოლიდან, სულ ცოტა, 8 უნდა მოიგოს. ასევე სწორია სულ მცირე, („სულ მცირე“ თავში და ბოლოში მძიმეებით გამოიყოფა).*”

სულ მცირე // **სულ ცოტა** ქართულში შემდეგი ტიპის შესიტყვებათა ანალოგიით ჩანს შექმნილი: **სულ რაღაც, სულ რამდენიმე...** დღესდღეობით ინგლისურიდან ნათარგმნ ტექსტებში ეს შესიტყვებები, როგორც წესი, ინგლისური ფრაზის – **at least** – შესატყვისად გამოიყენება (როგორც ზემოთ აღინიშნა, ხშირ შემთხვევაში უმართებულოდ) და მის კალკირებულ ვერსიას წააგავს.

ინგლისური მყარი შესიტყვება *at least* მიღებულია ზედსართავი სახელის (*little – პატარა, ცოტა, მცირე*) აღმატებითი ხარისხის ფორმაზე *at* წინდებულის დართვით. მისი მნიშვნელობებია: 1. არანაკლებ განსაზღვრული რაოდენობისა, დონისა და ა.შ. *At least once a year we visit our grandparents, წელიწადში ერთხელ მაინც მივდივართ სტუმრად ბებიასა და პაპასთან. You must be at least 21 of age to enter, 21 წლის მაინც უნდა იყო, რომ შევიშვან.* 2. მიანიშნებს არსებულის (მაგ., ცუდი სიტუაციის) შესაძლო უარესობაზე. *The weather was cold, but at least it didn't rain, ციოდა, მაგრამ წვიმით მაინც არ უწვიმია.*

3. მიანიშნებს ელემენტარულ შესაძლო (ან სავალდებულო) შესასრულებელ მოქმედებაზე. *He could have at least apologized, ბოდიში მაინც უნდა მოეხადა.* 4. მიანიშნებს, რომ წინადადებით გადმოცემული მტკიცებულება სათუთა, შეძლება შეიცვალოს. *We're going to have a picnic at least if it does not rain, პიკნიკი გვექნება, თუ, რა თქმა უნდა, არ იწვიმებს.* [მერიამ-გებსტერი 2016].

მოცემულ ეტაპზე განვიხილავთ მხოლოდ იმ შემთხვევებს, როდესაც *at least* რიცხვით სახელთან ერთად იხმარება (იხ. მნიშვნელობა 1). ის დაერთვის დადგენილ მინიმალურ მაჩვენებელს, მიუთითებს, რომ ეს ქვედა ზღვარია (რაოდენობა ამაზე ნაკლები არ არის, თუმცა შეიძლება მეტი იყოს) და მიგვანიშნებს სავარაუდო ზრდადობის დინამიკაზე (საყურადღებოა ისიც, რომ ეს მინიმუმი, როგორც უკვე ითქვა, შეიძლება გაიზარდოს, თუმცა აუცილებელი არ არის). ამას მოწმობს ოქსფორდის ლექსიკონში მოყვანილი ილუსტრაცია:

It will cost at least five pounds, five pounds and perhaps more – ეს ხუთი გირვანქა [სტერლინგი] მაინც ეღირება (სიტყვასიტყვით: ეს ეღირება არანაკლებ ხუთი გირვანქა [სტერლინგისა]), ხუთი გირვანქა [სტერლინგი] და შესაძლოა მეტიც [ჰორნბი 1982]: *at least five* ნიშნავს ხუთს, ან ხუთზე ცოტათი მეტს.

ინგლისურენოვან მედიაში ახალი ამბების გადმოცემის დროს ფრაზა *at least* ერთგვარ კლიშედაა ქცეული სტატისტიკურ მონაცემთა ჩვენებისას (როდესაც მონაცემები ბოლომდე არ არის დათვლილი, მაგრამ გარკვეული რაოდენობა უკვე დაზუსტებულია – ცნობილია მინიმალური ზღვარი).

ინგლისური მყარი შესიტყვების (*at least*) ამგვარი გადმოტანა (სულ მცირე || სულ ცოტა) ქართულში იწვევს შეუსაბამობას სემანტიკისა და პრაგმატიკის დონეზე. ინგლისურ *at least*-სა და ქართულ **სულ მცირე** || **სულ ცოტა**-ს ერთი და იგივე მნიშვნელობა არა აქვთ. **სულ მცირე** (|| **სულ ცოტა**) ქართულში არ არის მყარი შესიტყვება, ეს იგივეა, რაც **ძალიან მცირე**, **ძალიან ცოტა**; მის სინონიმებად შეიძლება მივიჩნიოთ: **სულ რაღაც (უმნიშვნელოს შინაარსით)**, **მხოლოდ**, **მარტო**, **ოდენ...** შესაბამისად, **სულ მცირე** (|| **სულ ცოტა**) მხოლოდ მინიმალური რაოდენობის აღწერისთვის არ შემოიფარგლება, ის ფაქტის (მოცემულ შემთხვევაში, დასახელებული რაოდენობის) შეფასებასაც მოიცავს: აღნიშნული მაჩვენებელი მცირეა, ძალიან ცოტაა,

უმნიშვნელოა, მაშინ როდესაც, დასახელებული მონაცემის შეფასების თვალსაზრისით, ინგლისური ფრაზა ნეიტრალურია.

At least 20 people killed and hundreds injured after earthquake in Pakistan (სკაი, 07.10.2021) – პაკისტანში მიწისძვრის დროს 20 ადამიანი დაიღუპა, ასობით ადამიანი კი დაშავდა. – ამ წინადადებაში *at least* ხაზს უსვამს, რომ არსებული მონაცემებით, დაღუპულთა რაოდენობა 20-ია. ეს რაოდენობა უკვე დადგენილია. ამასთან, *at least* მიგვანიშნებს, რომ რაოდენობა შესაძლოა მეტიც იყოს, ვინაიდან ჯერ კიდევ არ არის ცნობილი ყველა დაკარგული ადამიანის ადგილსამყოფელი. *სულ მცირე (// სულ ცოტა)* შესიტყვების გამოყენებით ასეთ თარგმანს მივიღებდით: *პაკისტანში მიწისძვრის დროს სულ მცირე (// სულ ცოტა) 20 ადამიანი* დაიღუპა, ასობით ადამიანი კი დაშავდა. ამ წინადადების იმპლიციტური მნიშვნელობა კი ასეთი იქნებოდა: *არა უშავს, ეს მონაცემი არც ისე ბევრია.* ამგვარი ქვეტექსტით ინფორმაციის მიწოდება ნამდვილად არ არის არცერთი საინფორმაციო საშუალების მიზანი, მაგრამ თარგმანში დაშვებული შეცდომის – შინაარსობრივი უზუსტობისა და იმპლიციტური მნიშვნელობის გაუთვალისწინებლობის შედეგად სწორედ ასეთი მცდარი ქვეტექსტი იკითხება.

საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ ქართულ პრესასა და ელექტრონულ მედიაში გამოქვეყნებულ თარგმნილ საინფორმაციო ტექსტებში მოძიებული მაგალითების მხოლოდ ერთ მცირე ნაწილს:

ღაზას სექტორის საზღვართან საპროტესტო აქციის დროს ისრაელელ ჯარისკაცებთან შეტაკების შედეგად სულ მცირე 41 პალესტინელი დაშავდა, მათგან ორის მდგომარეობა კრიტიკულია (საქ. რესპ. №170, 23.08.2021, გვ. 9).

თურქეთში, შავი ზღვის რეგიონში, წყალდიდობის შედეგად, სულ მცირე, 31 ადამიანი დაღუპული. კასთამონუს პროვინციაში სტიქიას 29, სინოპის პროვინციაში კი 2 ადამიანი ემსხვერპლა (საქ. რესპ. №168, 16.08.2021, გვ. 12).

...ძლიერი წვიმით გამოწვეულმა მეწყერმა რამდენიმე სახლი დაანგრია. შედეგად, სულ მცირე, 15 ადამიანი დაიღუპა (საქ. რესპ. №157-158, 19-20.07.2021, გვ. 9).

სულ ცოტა, რვა ადამიანი დაიღუპა პიტსბურგის სინაგოგაზე თავდასხმის შედეგად (თავისუფლება: 27.10.2018).

სულ ცოტა, 50 ადამიანი დაილუპა ლას-ვეგასში მომხდარ სროლაში (ამერიკის ხმა, 2.10.2017).

სულ ცოტა 30 ადამიანი დაილუპა და 80-ზე მეტი დაიჭრა დღეს ბალდადში მომხდარი ორი აფეთქების შედეგად (თავისუფლება, 22.05.2007).

ბრაზილიაში უამინდობის გამო სტიქიას **სულ ცოტა 30 ადამიანი** ემსხვერპლა (იმედი, 26.01.2020).

ნიშანდობლივია, რომ აქ ჩამოთვლილ მაგალითებში ყველგან ზუსტი რაოდენობა დასახელებული. ერთგან ეს რაოდენობა დათვლილიც კია (წყალდიდობის შედეგად, **სულ მცირე, 31 ადამიანი** დაღუპული. კასთამონუს პროვინციაში სტიქიას **29**, სინოპის პროვინციაში კი **2** ადამიანი ემსხვერპლა, $29+2=31$). ასე რომ, **სულ მცირე** // **სულ ცოტა** აქ სრულიად ზედმეტია. ეს შესიტყვებები მექანიკურადაა გადმოტანილი ქართულ თარგმანში; მათ არსებობას ამ წინადადებებში შინაარსობრივი უზუსტობა შემოაქვს, და მოწოდებული ინფორმაციის მცდარი გააზრების საფუძველიც შეიძლება გახდეს.

ამასთან, უნდა განვასხვაოთ ის შემთხვევები, რომლებშიც *at least* არა მხოლოდ მინიმალურ ზღვარზე მიუთითებს, არამედ ხაზს უსვამს რეალურ (და არა სავარაუდო) მეტობასაც. ამის ნიმუშად ქვემოთ მოყვანილი წინადადება გამოდგება:

*ინდოეთის დასავლეთ ნაწილში მუსონური წყალდიდობის შედეგად მოსულმა უხვმა ნალექებმა წყალდიდობა და მეწყერი გამოიწვია, რასაც **სულ მცირე 100 ადამიანი** ემსხვერპლა (ინტერპრეს. 25.07.2021).*

ინფორმაციის სრული ტექსტიდან მკითხველი იგებს, რომ დაღუპულთა რაოდენობა ნამდვილად მეტია მითითებულ მაჩვენებელზე; ამას ახალი ამბის სათაურიც ადასტურებს: „*ინდოეთში წყალდიდობას **100-ზე მეტი** ადამიანი ემსხვერპლა*“. *at least*-ის თარგმნის ერთ-ერთი ვერსია უკვე სათაურშივეა მოცემული: *100-ზე მეტი*.

ფრაზა *at least*-ის თარგმნა ზმნური ფორმის გამოყენებითაც შესაძლებელია, **გადააჭარბა (აჭარბებს)**. მაგალითად, ზემოხსენებული წინადადება ასეთნაირადაც შეიძლებოდა თარგმნილიყო: ...*რაოდენობამ 100-ს გადააჭარბა (// რაოდენობა 100-ს აჭარბებს)*.

მეტობის ჩვენებისთვის რიგ შემთხვევებში ქართულში **რიცხვითი სახელის -მდე-თანდებულებიანი ფორმების** გამოყენებაც შე-

გვიძლია. -მდე-თანდებულებიანი ფორმები მიახლოებით რაოდენობას აღნიშნავს მეტობა-ნაკლებობის ცდომილებით, და უფრო მეტად ათეულებთან და ასეულებთან გვხვდება. მაგ.: „აგერ კიდევ გაისმა მრავალხმიანი გუგუნით სიმღერა: მოდიან საგურამოს და წიწამურის გლეხები, **სამასამდე კაცი**, ილიასთან დღეობის მოსალოცავად“ (ი. მანსვეტაშვილი) [კორპ.]. (სამასამდე შეიძლება ნიშნავდეს სამასსაც, ოდნავ ნაკლებსაც და – მეტსაც). ასე რომ, ზემოთ დასახელებული წინადადება ოქსფორდის ლექსიკონიდან (*It will cost at least five pounds*) -მდე-თანდებულებიანი ფორმითაც შეიძლება ითარგმნოს: *ეს ხუთ გირვანქამდე მაინც ეღირება* (ამ შემთხვევაში სწორედ მეტობა იგულისხმება და არა – ნაკლებობა).

მოყვანილი მაგალითები მოწმობს, რომ ინგლისური ფრაზის – at least – *სულ მცირე // სულ ცოტა* შესიტყვებების მეშვეობით გადმოტანა მარტო ხელოვნური კი არ არის, არამედ შინაარსობრივადაც შესაბამისა და ზოგჯერ ეთიკური თვალსაზრისითაც გაუმართლებელი შეიძლება იყოს. შესაბამისად, ამ ფრაზის თარგმნის დროს სემანტიკურ სიზუსტესთან ერთად აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული იმპლიციტური მნიშვნელობა, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფაქიზი ინფორმაციის მიწოდება-გაგრძელებისას.

უნდა აღინიშნოს, რომ *სულ მცირე // სულ ცოტა* რაოდენობის მითითების ფუნქციით მხოლოდ თარგმანში როდი გვხვდება. რიგ შემთხვევებში აქაც ანალოგიური შეცდომები იჩენს თავს, რიგ შემთხვევებში კი აღნიშნული ფორმები უბრალოდ ხელოვნურია:

სულ მცირე 237 ათასმა მოსამსახურემ კი ვაქცინის მინიმუმ ერთი დოზა მიიღო (საქ. რესპ. №167, 11.08.2021, გვ. 5). – **დაახლოებით 237 ათასმა მოსამსახურემ**, ან: **237 ათასზე მეტმა მოსამსახურემ**...).

მხუთავი აირით 2016 წლიდან დღემდე თბილისში, **სულ მცირე, 95 ადამიანი** დაიღუპა (ნეტგაზ. 17.01.2019). – აქ ეს შესიტყვება ზედმეტია: *სულ მცირე, ვინაიდან ცნობილია ზუსტი მონაცემი; არც ეთიკური ფაქტორია გათვალისწინებული.*

„მაკდონალდსის“ სწრაფი კვების რესტორანში **სულ მცირე 40 ადამიანი** დასაქმდება (ფორტ. 09.09.2016). – ფორმა ხელოვნურია. უფრო ბუნებრივი იქნებოდა: **40 ადამიანი მაინც** დასაქმდება, ან: **40-ზე მეტი ადამიანი** დასაქმდება.

სამიზნე მაჩვენებელი დღეში **სულ მცირე 25 000 აგრაა** (თავისუფლება, 11.08.2021). – სამიზნე მაჩვენებელი **დღეში 25 000 აგრაა**, ზოგჯერ – მეტიც.

თარგმანში *სულ მცირე* // *სულ ცოტა at least*-ის სხვა მნიშვნელობების (რომლებიც რაოდენობასთან არ არის დაკავშირებული) შესატყვისადაც გადმოაქვთ. ამ მნიშვნელობებზე აღარ შეეჭვრებით, უბრალოდ უნდა აღინიშნოს, რომ აქაც რამდენიმე ვარიანტი შეიძლება არსებობდეს. მაგალითად, ინგლისურ-ქართული ლექსიკონი გთავაზობს ფრაზას: „სხვა თუ არაფერი“: *You might at least say you are sorry, სხვა თუ არაფერი, შეიძლებოდა ბოდიში მაინც მოგეხადათ* [ინგლ.-ქართ. ლექს. 2001]. პარალელურად სხვა ვერსიებიც შეიძლება განვიხილოთ: *ბოდიში მაინც მოგეხადათ, ბოლოს და ბოლოს შეიძლებოდა ბოდიში მოგეხადათ* და ა. შ.

ლიტერატურა და წყაროები

ინგლ.-ქართ. ლექს. 2001 – ინგლისურ-ქართული ლექსიკონი, X რვეული (მთ. რედ. თ. მარგალიტაძე), თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი, ლექსიკოგრაფიული ცენტრი, თბილისი.

მერიამ-ვებსტერი 2016 – Merriam-Webster’s Essential Learner’s English Dictionary @2010, Merriam-Webster, Incorporated. Springfield, Massachusetts, USA.

ჟურნ. ცნობ. 2002 – ჟურნალისტის სტილისტიკური ცნობარი, არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ჟურნალისტთა საერთაშორისო ცენტრი, თბილისი.

ჰორნბი 1982 – A. S. Hornby, Oxford Advanced Learner’s Dictionary of Current English, in two volumes, vol. I, Oxford University Press, Oxford.

ამერიკის ხმა – სამაუწყებლო ქსელი „ამერიკის ხმა“
<https://www.amerikishma.com>

თავისუფლება – რადიო „თავისუფლება“
<https://www.radiotavisupleba.ge>

თსუ 2020 – რატომ ვეღარ იქნება COVID-19-ის კრიზისის შემდეგ უმაღლესი განათლება ისეთი, როგორც ადრე, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 05.05.2020: <https://www.tsu.ge/en/news>

იმედი – საინფორმაციო სააგენტო „იმედი“

<https://imedinews.ge/ge>

ინტერპრეს. – საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსი“: <https://www.interpressnews.ge>

კორპ. – ქართული ენის კორპუსი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი: <http://corpora.iliauni.edu.ge>

ნეტგაზ. – ახალი ამბების ვებგვერდი „ნეტგაზეთი“:

<https://netgazeti.ge>

საქ. რესპ. – გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 2021.

სკაი – Sky News: <https://news.sky.com>

ფორტ. – რადიო „ფორტუნა“: <https://fortuna.ge/fortuna>

Tamar Sukhishvili

On Translating the English Phrase '*at least*' into Georgian

Summary

How to translate the English phrase *at least* into Georgian and what are the common mistakes made (and why?) in the translation? The paper deals with these questions and focuses mainly on the uses of the phrase *at least* with the numerals in the news texts and its corresponding Georgian equivalents. The two basic Georgian patterns (*sul coṭa* // *sul mcire*) which usually stand for the English *at least* do not seem the best options. They do have an obscure meaning in certain contexts while in others they might lead to the misunderstanding of the implication of the sentence. The paper provides some tips for translating the English phrase.

თეა ტეტელოშვილი

ატრიბუტული მსაზღვრელის შემცველ ერთი სახის კომპოზიტთა მართლწერისათვის

მრავალფეროვან კომპოზიტთა შორის მართლწერის თვალსაზრისით საინტერესო სურათს გვიჩვენებს ზედსართავებისგან შედგენილი ერთი ტიპის რთული სახელები, რომელთა პირველი კომპონენტი მეორის მსაზღვრელია და უმთავრესად წარმოდგენილია შემდეგი ერთეულებით: **ვიწრო, კერძო, საერთო, ცრუ, წინა, შიგა, შიდა...**, მეორე ნაწილი კი მიღებულია **-ურ/-ულ, სა-ო, -ებრივ ან -ობრივ** მაწარმოებლებით. აქ არ განიხილება ის კომპოზიტები, რომელთა პირველი ერთეული თანხმობავანფუძიანი ზედსართავი სახელია, რამდენადაც ამგვარი რთული სიტყვები დაწერილობის მხრივ სირთულეს არ ქმნის. შდრ.: **ზოგადსაგანმანათლებლო, ზოგადსაკაცობრიო, ზოგადდინგვისტიკური** და სხვ. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ზემოხსენებული ტიპის კომპოზიტები წინადადებაში სხვა სიტყვის მსაზღვრელად გვევლინებიან: **ვიწროპარტიული** ინტერესები, **ვიწროუწყებრივი** სამუშაო, **კერძოსამეურნეო** მიწა, **საერთოქართველური** ენები, **საერთოსაკაცობრიო** ღირებულებები, **ცრუეროვნული** პათოსი, **ცრუსაპარლამეტო** არჩევნები, **წინასაანბანო** პერიოდი, **წინასაიუბილეო** სხდომა, **შიგამიგრაციული** პროცესები, **შიგასაზოგადოებრივი** შეთანხმება, **შიგასარემონტო** სამუშაოები, **შიდასტრუქტურული** ცვლილებები, **შიდაკოალიციური** განხილვა, **შიდასაუნივერსიტეტო** შეჯიბრი...

მიუხედავად იმისა, რომ ჩამოთვლილთაგან ზოგი სიტყვის მართლწერა უკვე გარკვეულია ორთოგრაფიულ ლექსიკონებში, მასალის ანალიზი გვიჩვენებს, რომ პრაქტიკული გამოყენებისას (კორპუსული მონაცემების მიხედვით) მაინც შეინიშნება სიჭრელე: გვხვდება როგორც ორ სიტყვად, ისე კომპოზიტებად (დეფისით თუ უდეფისოდ) დაწერის მაგალითები.

ვიწრო, კერძო, საერთო, ცრუ, წინა, შიგა და **შიდა**, ბუნებრივია, ხშირად განსაზღვრავენ არსებითი სახელით გადმოცემულ საზღვრულ წევრს და ასეთ შემთხვევაში ისინი ცალ-ცალე სიტყვებად

იწერება: **ვიწრო** ქუჩა, **კერძო** მეურნეობა, **საერთო** ოთახი, **წინა** კიბე, **შიგა** გაყვანილობა, **შიდა** სტრუქტურა და სხვ. სიჭრელეს ქმნის „ზედსართავი + ზედსართავი“ კომბინაცია მსაზღვრელის ფუნქციით. აქ ორგვარი ვითარება შეინიშნება. ერთ შემთხვევაში ზედსართავთან ორივე მსაზღვრელად მიემართება მომდევნო წევრს (მაგ., **ვიწრო-უშნო** ოთახები, **წინა-უკანა** მხარეები...) და ისინი, ბუნებრივია, დეფისით დაიწერება, მეორე შემთხვევაში კი წინა ზედსართავი მომდევნოს მსაზღვრელია და ერთობლივად განსაზღვრავენ სხვა წევრს (საზღვრულს). ხსენებული ტიპის რთულ სახელებში უდავოა, რომ სიტყვამაწარმოებელი აფიქსი ეკუთვნის მხოლოდ ბოლო ერთეულს (იხ. ზემოთ მოყვანილი ნიმუშები). შესაბამისად, ამგვარ სიტყვათა მართლწერის საკითხს დერივაციული ელემენტის არსებობა ვერ გადაგვაწყვეტინებს. ხაზგასასმელია ისიც, რომ აღნიშნულ შემთხვევებში არ გამოგვადგება კომპოზიტთა დაწერილობისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კრიტერიუმად მიჩნეული ცნებიანობაც, რადგანაც მიღებული ერთეულები ერთზე მეტცნებიანია, თუმცა ამავედროულად შემადგენელ კომპონენტებს შორის „და“ კავშირის ჩასმა შეუძლებელია. დაკვირვება გვიჩვენებს, რომ „და“ კავშირის ჩასმის შესაძლებლობის არსებობა-არარსებობა უფრო რელევანტური ნიშანია რთულ სიტყვათა მართლწერისათვის. ამრიგად, ორცნებიანობის მიუხედავად, ჩვენთვის საინტერესო შემთხვევების ერთ სიტყვად (უდეფისოდ) დაწერას მეტი გამართლება უნდა ჰქონდეს. ამას ემატება ისიც, რომ **ზედსართავი სახელი + ზედსართავი სახელი** მიმდევრობა სხვა სიტყვის მსაზღვრელად გვევლინება.

თ. უთურგაიძის დებულების მიხედვით, „თუ რთულ სიტყვაში **ზედსართავი სახელი + არსებითი სახელი**, ან **არსებითი სახელი + ზედსართავი სახელი** თანამიმდევრობა **შეიძლება სხვა სიტყვის მსაზღვრელადაც** იქნეს გამოყენებული, მათ შორის დეფისი არ დაიწერება“ [უთურგაიძე 2013: 40]. შესაბამისად, თუ ანალოგიურად მივუდგებით საკითხს, წესი შემდეგნაირ სახეს იძენს: ზედსართავი სახელებისგან შედგენილი რთული სიტყვა დაიწერება უდეფისოდ, თუ მისი პირველი კომპონენტი მეორის მსაზღვრელია, მათ შორის „და“ კავშირის ჩასმა შეუძლებელია და იგი (კომპოზიტი) გამოიყენება სხვა სიტყვის მსაზღვრელად.

ლიტერატურა და წყაროები

ნორმები 1986 – თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, თბილისი.

უთურგაიძე 2013 – თ. უთურგაიძე, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი 13, თბილისი.

ქეევი – ქართული ენის ეროვნული კორპუსი: <http://gnc.gov.ge>

ქეოლი 1998 – ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, ვ. თოფურია, ივ. გიგინეიშვილი, თბილისი.

Tea Teteloshvili

On Spelling One Type of Compounds Containing an Attributive Modifier

Summary

In terms of spelling, an interesting picture is shown by one type of compounds containing adjectives the first component of which modifies the other and is mainly presented by the following lexical units: *viçro*, *ķerzo*, *saerto*, *cru*, *çina*, *šiga*, *šida*, etc. while the second part is derived by the formatives *-ur/-ul*, *sa-o*, *-ebriv* or *-obriv*, e.g. *viçropařtiuli interesebi* “party interests”, *ķerzosameurneo miça* “private agricultural land”, *saertokartveluri enebi* “common Kartvelian languages”, *cruerovnnuli pařosi* “false national pathos”, *çinasaanbano periodi* “pre-alphabet period”, *šigamigraciuli procesebi* “internal immigration processes”, *šidašřrukřuruli cvlilebebi* “internal structural changes”, etc. It is indisputable that in these compounds the formatives belong only to the last unit. Consequently, the issue of spelling such words cannot be defined by the existence of a derivational element. It should also be emphasized that for the mentioned examples, having the concept, which is considered as one of the important

criteria for spelling compounds, will not be useful, because the obtained units have more than one concept, however, at the same time, it is impossible to insert the conjunction *da* "and" between the components. Observation shows that the presence or absence of the possibility of inserting the conjunction *da* "and" is a more relevant sign for the spelling of compounds. Thus, despite having two concepts, there should be more justification for writing the compounds that are interesting to us as one word (without a hyphen). In addition, the sequence adjective + adjective appears as a modifier of another word.

So, the rule takes the following form: a compound composed of adjectives will be written without a hyphen, if its first component modifies the second one, it is impossible to insert the conjunction "and" between them, and the compound is used as a modifier of another word.

მედეა ლლონტი

„ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის“ სიტყვანისათვის (საკითხის დასმის წესით)

თსუ არნოდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართული მეტყველების კულტურის განყოფილებაში მზადდება „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის“ ახალი – შევსებული და გადამუშავებული რედაქცია.

1998 წლის შემდგომ, ანუ მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა **ვარლამ თოფურია**ს და **ივანე გიგინეიშვილის** მიერ შედგენილი „**ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის**“ მეორე შევსებული გამოცემა, ოცზე მეტმა წელმა განვლო. ამ ხნის განმავლობაში ქართული სალიტერატურო ენის განვითარებისა და მისი კვლევა-შესწავლის შედეგად, ცხადია, არაერთი ახალი საკითხისა თუ პრობლემის გადაჭრის აუცილებლობამ იჩინა თავი, რის გამოც ქართული მეტყველების კულტურის განყოფილებას გადაუდებელ საქმედ ესახება **შევსებული და სათანადოდ გადამუშავებული „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის“** როგორც პოლიგრაფიული, ისე ელექტრონული ვერსიების მომზადება და გამოცემა.

ამჯერად „**ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის**“ ახალი – შევსებული და გადამუშავებული რედაქციის სიტყვანისათვის ჩემ მიერ მონიშნულ სალექსიკონო მასალას (მის ნაწილს) – ცხრილის სახით წარმოვადგენ:

I. ა რ ა ი ს ა ხ ე ბ ა ორთოგრაფიულში:	II. ი ხ. და შ ე ა დ ა რ ე – ქ ე გ ლ შ ი:
1. აამართვინა, აღამართვინა (აისახება: ამართავს, აღმართავს)	ამართავს, აღმართავს
2. ავადსახსენებელი, ავსახსენებელი	ავადსახსენებელი, ავად ხსენება
3. ათ(ი)ათასიანი	

(აისახება: ათიათასობით)	ათიათასობით
4. ორ(ი)ათასწლოვანი (აისახება: ორასათასიანი)	არ აისახება: ორასათასიანი
5. ამაღორძინებელი	ამაღორძინებელი
6. ამსახველი	ამსახველი
7. აღდგომილი, აღმდგარი (აისახება: აღმადგენელი)	აღდგომილი; აღმდგარი აღმ(ა)დგენელი
8. აღმვსები (აისახება: აღმავსებელი)	აღმვსები აღმავსებელი
9. აჩუქებს (და არა - ჩუქნის) (აისახება: [ჩუქნის კი არა] აჩუქებს)	აჩუქებს
10. გაბუნდოვ(ა)ნება, გაბუნდოვ(ა)ნებული (აისახება: ბუნდოვანი, ბუნდოვნად; ბუნდოვანობა ბუნდოვნობა; ბუნდოვანება)	ბუნდოვანება, ბუნდოვნად; გაბუნდოვ(ა)ნება, გაბუნდოვ(ა)ნებული
11. გაევილო [და არა – გაეარა]	„ გაივლის ... 5. გადატ. ... გამევილო“
12. გამოეფინნენ	გამოაფენს, გამოაფენინებს; გამოფენს
13. განმაპირობებელი (აისახება: განპირობება, განპირობებული, განპირობებულობა)	განმაპირობებელი, განპირობება, განპირობებული, განპირობებულობა
14. გარეკავშირი (აისახება: გარე კავშირები)	„ გარე ... ◊ გარე სამყარო“
15. გარეორსულობა	არ აისახება
16. გონებისთვალი	გონების თვალი
17. გულისყური	გულისყური
18. დაენებებინა (აისახება: დანებება, დანებებს, დანებდება; დანებებია, დანებებოდა; დანებებული)	ილუსტრ.-ში: „ დანებებს ... არ დაენებებინათ ... “
19. დავიწყებია [და ა არა დავიწყნია] – (აისახება: დაუვიწყებს; დაუვიწყა; დაუვიწყებია; დაევიწყებინა [და ა არ ა:	ილუსტრ.-ში: „ დავიწყებს ...“; „ დაავიწყდება ... დაგვიწყნია“

დაევიწყებია, დაევიწყნა...]	
20. ა) ერთი ერთზე „პირისპირ; უშუალოდ“ ბ) ერთი ერთზე „ერთმანეთს; ერთმანეთისგან“ გ) ერთიერთზე „ერთმანეთზე“	ა) „მოდი, ერთი ერთზე დავილაპარაკოთ!“ ბ) ილუსტრ.-ში: „ ერთი ერთზე ისე გავითიშეთ, როგორც „მარიაკები“ პორტში“; გ) ილუსტრ.-ში: „ ერთიერთზე ულამაზეს გოგო-ბიჭებსაც დაალოცვინებდა“
21. თავბრუხვევა (აისახება : თავბრუდახვევა თავბრუდახვეული; თავბრუდამხვევი; თავბრუდასხმული)	თავბრუხვევა; „ თავბრუსხმა თავბრუს [და]სხმა - თავბრუდახვევა“
22. თავისთან	თავისთან
23. თავისნაირი	არ აისახება
24. თავისი ნებით	„ნება 2. ♠ ნებით, თავის(ჩემი) ნებით“
25. თავსმოხვეული; თავმოხვეული	თავს-მოხვეული; თავმოხვეული
27. თავ-ყბა; თავყბიანად	არ აისახება
28. თარგმანება (თარგმანებისა)	თარგმანება
29. თვალდახელშუა	არ აისახება
30. იგულეზს იგულევის (აისახება : იგულეზს)	იგულეზს; იგულევის 1; იგულევის 2
31. იერსახე (იერსახისა)	არ აისახება
32. მიგემია [დ ა არ ა: მიგემნია] უგემია [დ ა არ ა: უგემნია]	აგემეზს; იგემეზს
33. ნაგემები ნაგემი	არ აისახება : ნაგემი
34. მოჰყვრობია	„ მოეყვრობა (მოეყვრო, მოჰყვრობია)“
37. მრავლისმოქმელი; მრავლისმოქმედი	მრავლისაღმოქმელი
36. მრბოლავი მრბოლი	არ აისახება
37. ნაადრეობა	არ აისახება
38. რჯულისკანონი	არ აისახება
39. საბერმონაზვნო	არ აისახება

40. უზრდელი (ქცევა, სიტყვა...) [და არა: უზრდელური]	არ აისახება: უზრდელური
41. ურთიერთგამორიცხველი ურთიერთგამორიცხული (აისახება: გამორიცხული)	არ აისახება
42. უღირსობა	არ აისახება
43. ყოველმიზეზგარეშე	არ აისახება
44. ყოვლადწმიდა (სამება; ღვთისმშობელი) (აისახება: სულიწმიდა, წმიდათაწმიდა)	ყოვლადწმინდა სულიწმიდა სულიწმინდა არ აისახება: წმიდათაწმიდა
45. შეეთვისნენ [და არა: შეეთვისენ]	შეთვისება (შეთვისა, შესთვისებია)
46. შემოტმასნა	არ აისახება
47. შესარაცხავი, შესარაცხავად (აისახება: შესარაცხი, შესარაცხად)	შესარაცხი
48. ჩემობს ჩემულობს	ჩემობს, ჩემულობს
49. (უნდა) ეცადა [და არა: (უნდა) ცდილიყო]	არ აისახება
50. ძირისძირამდე, ძირისძირობამდე	ძირისძირამდე, ძირისძირობამდე
51. წრეგადასული, წრეგადასულობა	წრეგადასული წრესგადასული წრეგადასულობა წრესგადასულობა

* ცხრილის **პირველ სვეტში** განთავსებულია ის შესავსები სალექსიკონო ერთეულები, რომლებიც **არ აისახება** ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონების წინარე გამოცემებში [ორთოგრაფიული, 1998; სასკოლო ორთოგრაფიული ლექსიკონი, 2011; მართლწერის ლექსიკონი მედიისათვის, 2016; მოსწავლის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი, 2012];

* **ამავე სვეტში** ზოგ სალექსიკონო ერთეულს მრგვალ ფრჩხილებში ერთვის ორთოგრაფიულ-ლექსიკოგრაფიული ინფორმაცია ხსენებული ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონების წინარე გამოცემებიდან, მაგ.:

I.
არ აისახება ორთოგრაფიულში :
3. ათ(ი)ათასიანი (აისახება : ათიათასობით)
17. გარეკავშირები (აისახება : გარე კავშირები)

* ცხრილის **მეორე სვეტში** მითითებულია ის შესავსები სალექსიკონო ერთეულები, რომლებიც **აისახება** „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ [ქეგლი 1950-1964; ქეგლი 2007-2019];

* პირველ სვეტში წარმოდგენილი ზოგი შესავსები სალექსიკონო ერთეულის სარწმუნოობისათვის კი **მეორე სვეტში** ასევე მიეთითება **სათანადო** ლექსიკოგრაფიული განმარტება „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიდან“, მაგ.:

I.	II.
არ აისახება ორთოგრაფიულში :	იხ. და შეადარე – ქეგლში :
3. ათ(ი)ათასიანი (აისახება : ათიათასობით)	ათიათასობით
4. ორ(ი)ათასწლოვანი (აისახება : ორასათასიანი)	არ აისახება : ორასათასიანი
17. გარეკავშირები (აისახება : გარე კავშირები)	„ გარე ... ◊ გარე სამყარო“

ვიმედოვნებ, რომ „**ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის**“ ახალი – შევსებული და გადამუმავებული რედაქციის სიტყვანისათვის ზემოთ წარმოდგენილი შესავსები სალექსიკონო მასალა გარკვეულწილად მოემსახურება ქართულის სიტყვის ღირსეულად პატრონობის ესოდენ საშურ საქმეს.

გამოყენებული ლექსიკონები:

მართლწერის ლექსიკონი მედიისათვის 2016 – მართლწერის ლექსიკონი მედიისათვის, თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, რედაქტორი თ. ვაშაკიძე, თბილისი.

მოსწავლის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი 2012 – მოსწავლის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი, თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, მთ. რედაქტორი თ. ვაშაკიძე, თბილისი.

ორთოგრაფიული 1998 – ვ. თოფურია, ივ. გიგინეიშვილი, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, მეორე შევსებული გამოცემა, თბილისი.

სასკოლო ორთოგრაფიული ლექსიკონი 2011 – სასკოლო ორთოგრაფიული ლექსიკონი, თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, მთ. რედაქტორი თ. ვაშაკიძე, თბილისი.

ქეგლი 1950-1964 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტომი I-VIII, პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაციით, თბილისი.

ქეგლი 2007-2019 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ახალი რედაქცია, ტ. I-IV, მთავარი რედაქტორი – აკად. ავთ. არაბული, თბილისი.

Medea Ghlonti

On the Entries of "The Georgian Orthographic Dictionary" (Raising an Issue)

Summary

At the Department of Georgian Speech Culture (the Head – Doctor of Philological Sciences, Professor Tamar Vashakidze) of Arnold Chikobava Institute of Linguistics at TSU, a revised edition of the Georgian Orthographic Dictionary is being compiled. We would love to

present a part of the lexical material in the form of a table that should be included in the list of dictionary entries.

The first column of the table contains the dictionary entries that are not presented in the previous editions of the orthographic dictionaries of the Georgian language while in the second column you can find those entries that are presented in the old and new editions of the Georgian Explanatory Dictionary.

The part of the dictionary entries in both columns, for authenticity, are accompanied by the relevant orthographic-lexicographical information presented in the above-mentioned dictionaries – with proper explanations.

ნინო ხახიაშვილი

ქართულ ტრადიციაში დამკვიდრებული (სახეცვლილი) რამდენიმე ბიბლიური ლექსემისათვის (ალილო, ამინი, კრიალოსანი)

ქართულ ენაში გვაქვს ლექსიკური ერთეულები, რომლებიც ბიბლიური წარმოშობისაა, მაგრამ ისინი იმდენად ორგანულადაა შერწყმული ხალხურ ტრადიციებთან, რომ, ერთი შეხედვით, თითქოს არც ჩანს მათი წარმოშობა. ასეთებია, მაგ.: ალილო (ალილოზე სიარული), ალილოობა; ამინი (ამინი ჩამოივლის, ამინს დაუცემს, ამინაის ჩამავლევა (ხევს.)...); ამინ და კირიელეისონ! კრიალოსანი (კრიალესვანი)...

„**ალილო** 1. ჩვეულება: შობის წინა ღამეს მისალოცად კარდაკარ დადიოდნენ და მღეროდნენ „ალილოს“ (მდრ. ჭონა)... 2. გუნდის სიმღერა, ალილოზე სიარულის დროს შესრულებული. ...ნელ-ნელა გაისმა კვლავ ის სუფთა, მშვენიერი ხმა, რომელმაც ალილო დაიწყო (რ. ინან.)... [ქეგლი I, 2008]. **ალილოობა** ალილოზე ჩამოვლის დრო, ალილოზე სიარული...“ [ქეგლი I, 2008]. **მეალილოე ძვ. ეთნ.** ალილოს მთქმელი... [ქეგლი V, 1958].

ცნობილია, რომ **ალილო ალილუია**-სგან არის მიღებული: „**ალილუია!** [< ებრ. hallelu „აქებდით ღმერთსა“] მღვდელმსახურებაში სხვადასხვა ლოცვის ბოლოს მისამღერი სიტყვა...“ [ქეგლი I, 2008]. ეს სიტყვა ქართული სალიტურატურო ენის კუთვნილებად ბიბლიური წიგნების ქართულ ენაზე თარგმნისთანავე უნდა გამხდარიყო, – აღნიშნავს კორნელი დანელია, – რადგანაც ის მღვდელმსახურებაში გამოიყენებოდა და მრევლს ხშირად უხდებოდა მისი მოსმენა, მას მეტყველებაში ცვლილება უნდა განეცადა **ალილო**-ს სახით. შემდეგ ამ სიტყვამ მნიშვნელობაც იცვალა და „ქრისტეს შობის მისალოცად კარდაკარ სიმღერით სიარულის“ შინაარსი შეიძინა [დანელია 1998]. თუმურ დიალექტში გვაქვს „**ალილოს კოტორი**“ – დიდი ზომის კოტორი [= თუმური ქადა], საგანგებოდ მეალილოეებისათვის გამოცხვარი. ორს აცხოზენ, ერთს მეალილოე ახალგაზრდები წაიღებენ, ხოლო მეორით იქვე გაუმასპინძლებიან მათ: „*ვინც კარგაყ ალი-*

ლოს კოტორს აცხოვდ, სახელ იყვ“ [ცოცანიძე 2002].

გვაქვს იდიომური ფრაზებიც: „**ღ ალილო და ხვალაო!**“ [რომლის სინონიმური ფარდია: „**ღ აღდგომა და ხვალაო!**“ – „ვნახოთ, სულ მალე იქნება!“]; „**ღ ერთი ალილო (ალილუია) მღვდელსაც შესცდებაო**“ (= „შეცდომა ყველას მოუვა“).

ქართულში ასევე დასტურდება გამოთქმები: „**ამინ ალილუია!**“; „**ამინ და კირიელისონ!**“

ამინ ალილუია იოანე ბაგრატიონის განმარტებით არის: „გალობასა შინა ქართულსა ჭრელად წოდებული... ხოლო მნიშვნელობა **ამინ ალილუიასი** არის: სარწმუნოებით ვაქებდეთ უფალსა...“ [იოანე ბაგრატიონი, ქართული ლექსიკონი 1975].

გამოთქმას – „**ამინ და კირიელისონ!**“ თედო სახოკია ასე განმარტავს: „**ამინ და კირიელისონ!** თანხმობის გამოცხადება: სწორედ ასეა, მორჩა და გათავდა! *ავილოთ ხელში საცეცხლურები და საკმეველი ვუკმით, მინამ საქმე რამ გამოგვიჩნდება, ცუდად ჯდომას ხომ ცუდად შრომა სჯობია. ამინ და კირიელისონ! მორჩა, გათავდა! (ილია)... ამენ* ებრაული სიტყვაა, ნიშნავს: ეგრე იყოს! ებრაელთაგან ქრისტიანებმა შეითვისეს და ეკლესიაში ხმარობენ მღვდელმსახურების დასრულებისას. **კირიელისონ** ბერძნულია: **კირიე**¹ – უფალო და **ელისონ** – შეგვიწყალებ...“ (თ. სახოკია, „ხატოვანი სიტყვა-თქმანი“).

ბერძნული ფრაზიდან მიღებული **კირიელისონ** [„უფალო შეგვიწყალებ“] გამონათქვამისაგან არის წარმომდგარი სიტყვა **კრიალოსანი**: „**კრიალოსანი** [ბერძნ. Kirie eleison უფალო შეგვიწყალებ] 1. ეკლ. ზონარზე ასხმული მძივები (ქარვის, გიშრის...), რომელთა მარცვალ-მარცვალ ჩათვლით (მლოცველები) ინიშნავდნენ, რამდენი ლოცვა თქვეს და რამდენი მეტანია გააკეთეს... 2. ასეთი მძივები, ჩასათვლელი – გულის გადასაყოლებლად, თავის შესაქცევად...“ [ქეგელი IV, 1955]. როგორც აკაკი შანიძე აღნიშნავს, ასეთი წარმოშობა დაკავშირებულია კრიალოსნის თავდაპირველ დანიშნულებასთან: „ხშირად ლოცვის დროს საჭირო იყო სიტყვების – „უფალო შემიწყალებ“ რამდენჯერმე გამეორება, ამ შემთხვევაში იშველიებდნენ საჭი-

¹ აქედანვე უნდა მომდინარეობდეს კაცის სახელი კირილე. შდრ.: „Кирилл“ – ст.-слав. Кирилль из греч. Κύριλλος... [Фасмер 1967]. თუმცა არსებობს სხვა თვალსაზრისიც: „კირილე სპარს. „მზე, უფალი“; სხვაგვარი ეტიმოლოგიით ესაა ბერძნული **კვიროს**-ის კნინობითი ფორმა (*„პატარა ბატონი, ბატონიშვილი“) [ჭუმბურიძე 2003].

რო რაოდენობის ასხმულ მძივებს, ყოველი თქმისას თითოს ჩააგორებდნენ და როდესაც მძივები გათავდებოდა, მექანიკურად ხვდებოდნენ, რომ ლოცვები დასრულებულია...“ [შანიძე III, 1980: 124 (163)].

სულხან-საბასთან ეს სიტყვა **კრიალესვან**- ფორმით დასტურდება: „**კრიალესვანი** სალოცავად ასხმული მარცვალნი“... [სულხან-საბა I, 1991].

ასეთივე წარმომავლობისაა ქართულში სიტყვა **ამინი**//**ამინა**.

„**ამინ!** [<ბერძნ. amen <ძვ. ებრ.] 1. ეკლ. ჭეშმარიტია, ჭეშმარიტად! (დასკვნითი სიტყვა საეკლესიო ქადაგებათა და ლოცვებისა)... 2. საუბ. ითქმის დასტურის მნიშვნელობით. – *ტკბილად დაგაბეროთ! – ამინ და ეგრე იყოს! (ვაჟა)*...“ [ქეგლი I, 2008].

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში დადასტურებულია აგრეთვე გაარსებითებული **ამინი** „უხილავი ძალა, რომელიც ვითომცდა ადამიანს ნატვრას უსრულებდა. ხომ გაგიგონიათ ძველი თქმულება: „ამინი“ დღეში სამჯერ ჩამოივლისო და, რასაც იმ დროს ინატრებს კაცი, აუსრულდებაო... „ამინი“ ერთი თვალის დახამხამებაზე ხდება. როცა ვეფხიამ და მზიამ ფრინველობა ინატრეს, „ამინმა“ ამინი დაუცა და გადაიქცნენ ბუებად (ვაჟა)...“ [ქეგლი I, 2008].

ცხადია, **ამინი**, „უხილავი ძალა“, „სული, რომელსაც ნატვრისა და წყევლის ახდენა შეუძლია“, მომდინარეობს ბიბლიური **ამინ**//**ამენ** ტერმინიდან. დიალექტებში არსებული გამოთქმებისა და ქეგლში დამოწმებული ილუსტრაციის **ამინიც** (ვაჟა-ფშაველას მოთხრობიდან „როგორ გაჩნდნენ ბუები“) გახალხურებული, ფოლკლორიზებული ბიბლიური **ამინ**-ია [შდრ.: სულხან-საბა: „ამინ იყავნ, აღსრულდეს,... გინა (ამინ C) ღმერთი...“].

საყურადღებოა გამოთქმები: **ამინი ჩამოივლის, ამინს დაუცემს, ამინი ხდება** (შდრ.: ხევს. **ამინა ჩამაივლის, ამინას დაუცემს, ამინას ჩამავლევა**...).

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს გამოთქმა: **ამინას ჩამავლევა**. ალ. ჭინჭარაულის „ხევსურულ ლექსიკონში“ კვითხულობთ: „**ამინა**“-ს **ჩამავლევის** [ამინას ჩამავლევა] ახალწულის სადღეგრძელოს დაღვევის შემდეგ, თითო სასმისს კიდევ ჩამოატარებენ და „ამინ, გაუმარჯოს“-ო, იტყვიან, ამას „**ამინას ჩამავლევა**“ ეწოდება“ [ჭინჭარაული, 2005] [შდრ.: **ალავერდს გადადის, ალავერდის გადასვლა**].

ივანე ქავთარაძე აღწერს ხევში არსებულ კიდევ ერთ ტრადიციას: „**ამენ-ამენაის-ი** სიმღერის დასაწყისი სიტყვებია. ყველიერში სოფ. გარბანის ბავშვები იკრიბებოდნენ რომელიმე ოჯახში და მთელ სოფელს კომლდაკომლ ჩამოუვლიდნენ. ხელში ეჭირათ მორთული ხატები, რომლებზედაც ასხმული იყო ფერადი დილები, მძივები, ჩვრები, წვრილი ზანზალაკები და სხვ. ოჯახს სთხოვდნენ რაიმე საწვავს და თან ლოცავდნენ ამ სიტყვებით: „**ამენ-ამენაისაო**, ჯორელ-კუთრელაისაო, ბოროლეთისაო, ჯმელეთისაო, კუთრეო-კუთრეო, შენ გაღმარჯუე ამათ ჯარსა, ამათ გუთანსა, მოლაშქრე-მონადირესა, შინ მშუიდობა მიე, კაის გამარჯობა, უმყოფე ჯალაბნი უსნეულოდა, გაატანინე მშუიდობიანი გუთანი!“ მოგროვილ საწვავს მიიტანდნენ იმ ოჯახში, სადაც იკრიბებოდნენ და იქ მხიარულობდნენ რამდენიმე დღეს“ [ქავთარაძე 1985] [შდრ. ალილოზე სიარული; ჭონა].

ლიტერატურა

ბაგრატიონი 1975 – იოანე ბაგრატიონი, ქართული ლექსიკონი, თბილისი.

დანელია 1998 – კორნელი დანელია, ნარკვევები ქართული საწერლოზო ენის ისტორიიდან, ტ. I, თბილისი.

ვაჟა-ფშაველა 2020 – ვაჟა-ფშაველა, „როგორ გაჩნდნენ ბუები ქვეყანაზედ?“, თბილისი.

ორბელიანი 1991 – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებითი ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, ტ. I, თბილისი.

სახოკია 1979 – თედო სახოკია, „ქართული ხატოვანი სიტყვათქმანი“, თბილისი.

ქავთარაძე 1985 – ივანე ქავთარაძე, ქართული ენის მოხეური დიალექტი, თბილისი.

ქეგლი I, 2008 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I, ახალი რედაქცია, მთ. რედაქტორი ა. არაბული, თბილისი.

ქეგლი V, 1998 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. V, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბილისი.

შანიძე 1980 – აკაკი შანიძე, თხზულებანი 12 ტომად, ტ. III, თბილისი.

ცოცანიძე 2002 – გიორგი ცოცანიძე, თუშური ლექსიკონი, თბილისი.

ჭინჭარაული 2005 – ალექსი ჭინჭარაული, ხევსურული ლექსიკონი, თბილისი.

ჭუმბურიძე 2003 – ზურაბ ჭუმბურიძე, „რა გქვია შენ?“, თბილისი.

Фасмер 1967 – Макс Фасмер, Этимологический словарь русского языка, т. II. Перевод с немецкого и дополнения О. Н. Трубачева, Москва.

Nino Khakhiashvili

On Some Biblical Lexemes Established (Changed) in the Georgian Tradition (*alilo*, *amini*, *krilosani*)

Summary

In the Georgian language, we have lexical units that are of biblical origin but they are so organically combined with folk traditions that, at first glance, they do not seem to be borrowed, e.g. *alilo* “Alilo” (performing Alilo): “Alilo 1. Custom: on the night before Christmas, they went from door to door and sang “Alilo” (cf. Chona); 2. A choir song sung while performing Alilo (the GED I, 2008). *alilooba* – the time of performing Alilo, walking at Alilo (the GED I, 2008), *mealiloe* old. Ethn. – a singer at Alilo (the GED V, 1958).

It is known that *aliluia* “Hallelujah” [<Hebrew hallelu “praise God”] is a word to be sung at the end of various prayers when worshipping” (the GED I, 2008).

The Georgian Explanatory Dictionary also includes the nominalized *amini* defined as “an invisible power that made a man’s dream come true” (the GED I, 2008).

amin "Amen" [< Greek amen < old Heb.] 1. Eccl. It's true! truly!
(The concluding word of church worships and prayers) (the GED I, 2008).

krialosani "rosary" [Gr. Kirie eleison "Lord, have mercy on us"]
1. Eccl. the string of knots or beads (amber or jet) used to count the
component prayers or prostration (the GED IV, 1955).